პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 90 (10176) | შაბათი, 16 აპრილი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

საბჭოთა კავშირ-ავსტრიის კომუნიკე ავსტრიის მთავრობის დელეგაციის მოსკოვში ყოფნის შესახებ (1-ლი გვერდი).

მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე (1-ლი გვერდი).

ვ. ი. ლენინი — კომუნისტური პარტიის დიდი ორგანიზატორი და ბელადი (მე-2 და მე-3 გვერდი).

სიმინდის თესვის ხელსაყრელ ამინდებს ხელიდან უშვებენ (მე-3 გვერდი).

არ დავუშვათ სიმინდის ნათესების შემცირება (მე-3 გვერდი).

ვ. ი. ლენინის დღეები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (მე-3 გვერდი).

უცხოეთის საზოგადოებრიობა აღნიშნავს ვ. ვ. მაიაკოვსკის გარდაცვალების 25 წლისთავს (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

პოლიტიკური აგიტაცია საგაზაფხულო სამუშაოთა დღეებში

ყოველდღიურად იზრდება და ფართოვდება მინდვრის სამუშაოთა ფრონტი სოფლად. საკოლმეურნეო მინდვრებზე, ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებში, ხეხილის ბაღებსა და ვენახებში თავდადებული შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატებით ჩატარება უმნიშვნელოვანესი ეტაპია სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის ბრძოლაში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დასახა გრანდიოზული ამოცანა — უზრუნველვყოთ ყოველწლიურად სულ ცოტა 10 მილიარდი ფუთი მარცვლეულის მიღება, 1960 წლისათვის ორჯერ და უფრო მეტად გავადიდოთ მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება. ბრძოლა ამ ამოცანის შესრულებისათვის მთავარი და გადამწყვეტია ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში. ჩვენ ყველაფერი გვაქვს, რაც საჭიროა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის. ახლა საქმე ის არის, რომ დავრაზმოთ მასები პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების გადასაჭრელად.

პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტების, სასოფლო პარტიული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანაა საგაზაფხულო სამუშაოთა დღეებში გადაჭრით გააძლიერონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მასებში, აამაღლონ კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შრომითი აქტივობა, კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გასაადიდებლად.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის ბრძოლაში უდიდესია პოლიტიკური აგიტაციის როლი, რომელიც მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის მძლავრ საშუალებას წარმოადგენს. აგიტატორების მოვალეობაა ღრმად განუმარტონ მასებს იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, უჩვენონ ამ გადაწყვეტილებათა განხორციელების გზები: მოსავლიანობის გადიდება ყველა ფართობზე, ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება, სიმინდის ნათესების მნიშვნელოვანი გაფართოება, მტკიცე საკვები ბაზის შექმნა და პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესება. აგიტატორები უბრალო ახსნა-განმარტებითს მუშაობას კი არ უნდა დასჯერდნენ, არამედ აუცილებელია შეურიგებელი ბრძოლა გაიჩაღონ იმათ წინააღმდეგ, ვისაც ჯერ კიდევ არ შეუგნია სიმინდის მნიშვნელობა, ამ კულტურას უყურებს როგორც მარცვლეულის მეურნეობის ერთგვარ დანამატს და ნაკლებად ზრუნავს მისი მოსავლიანობის გადიდებისათვის.

დიდი შრომითი აქტივობა გამოიწვია იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა ყვარლის რაიონის ახალსოფლის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში. მეცხოველეობის ფერმაში შარშანდელთან შედარებით წელს საგრძნობლად გაიზარდა ძროხების წველადობა. წარმატებით მიმდინარეობს მინდვრის სამუშაოები: უკვე დამთავრებულია როგორც შვრიისა და საკვები ბალახების, ისე მზესუმზირას თესვა. მიმდინარეობს სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვა. ახალსოფლელი კოლმეურნეები იმისათვის იბრძვიან, რომ წელს ჰექტარზე მოიყვანონ 40-45 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად გასული წლის 30 ცენტნერისა. საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია კოლმეურნეთა შორის ყოველდღიურად ეწევა მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, განუმარტავს მათ იანვრის პლენუმის მიერ დასახულ ამოცანებს. აგიტატორები სისტემატურად მართავენ საუბრებს ბრიგადებში, ფერმებში და რგოლებში, უშვებენ მინდვრად საველე გაზეთებს. ამ დღეებში მოეწყო აგიტატორთა მორიგი მეცადინეობა თემაზე: „საგაზაფხულო თესვა და პოლიტიკური აგიტაციის ამოცანები“. სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს აგიტატორ ა. მაღლაკელიძის მოხსენება თავისი მუშაობის გამოცდილებაზე.

ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგრის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია ზრუნავს იმისათვის, რომ იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, პერსპექტიული გეგმის შედგენა მიმდინარეობდეს კოლმეურნეთა შრომითი აქტივობის ვითარებაში. სწორად მოიქცა პარტბიურო, როცა კოლმეურნეობის პერსპექტიული გეგმა ღია პარტიული კრების მსჯელობის საგნად გახადა. კოლმეურნეებმა პერსპექტიულ გეგმაში ბევრი საყურადღებო შენიშვნა და შესწორება შეიტანეს, დასახეს მისი მოკლე ვადაში შესრულების ღონისძიებანი. გეგმით გათვალისწინებულია 1959 წელს 1955 წელთან შედარებით მიწის სავარგულების ყოველ 100 ჰექტარზე ხორცის წარმოება გაიზარდოს 36 ცენტნერით, რძისა — სამჯერ, ნატყლისა — ორჯერ და კვერცხისა — ექვსჯერ. ამავე დროისათვის სიმინდის ნათესები ერთიორად გაიზრდება, ხოლო ხორბლის მოსავალი ჰექტარზე 25 ცენტნერამდე იქნება აყვანილი.

მთავარი პოლიტიკურ აგიტაციაში — ეს არის მისი იდეური შინაარსი. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მაღალი დონე დიდად არის დამოკიდებული აგიტატორთა შემადგენლობაზე, მათს იდეურ მომზადებაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, პარტიის ბევრი რაიკომი ნაკლებად ზრუნავს აგიტატორთა კადრების მომზადებასა და აღზრდაზე. ფაქტები მოწმობენ, რომ ტყიბულის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში სუსტად არის დაყენებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტება. საწირის კოლმეურნეობაში საბჭოების არჩევნების შემდეგ სავსებით შეწყვიტა მუშაობა აგიტკოლექტივმა. თავმინებებულია პოლიტიკური აგიტაცია ხრესილის კოლმეურნეობაში. პოლიტიკური აგიტაციის დაბალი დონე იმით არის გამოწვეული, რომ ამ საქმეს სუსტად ხელმძღვანელობს პარტიის ტყიბულის რაიკომი.

ჭიათურის რაიონში პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას ხშირად ეწევიან განყენებულად, სოფლის მეურნეობის აღმავლობის ამოცანებისაგან მოწყვეტით. კოლმეურნეობათა გამგეობები და პარტიული ორგანიზაციები, როგორც ეს ამას წინათ გამართულ რაიკომის პლენუმზე აღინიშნა, მთლიანად ვერ იყენებენ მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ყველა რეზერვსა და შესაძლებლობას. კოლმეურნეობებში, განსაკუთრებით მეცხოველეობის ფერმებში სათანადო დონეზე არ არის დაყენებული პოლიტიკური აგიტაცია. რაიონის მხოლოდ ორ ფერმაში არის შექმნილი პარტჯგუფი, ხოლო ბევრ ფერმაში კომუნისტები სულ არ მუშაობენ. რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი მტს-ის ზონაში და საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციები ნაკლებ თაოსნობასა და აქტივობას იჩენენ, ღრმად ვერ სწვდებიან კოლმეურნეობების ეკონომიკას. ზოგჯერ გულდასმით არ ხდება საკოლმეურნეო კადრების შერჩევა. სოფლების ხრეითის, ქვაციხის, კაცხის, სარქველეთუბნის და სხვა კოლმეურნეობებში სოფლის მეურნეობის სპეციალისტები სუსტად ზრუნავენ მოწინავე აგროზოოტექნიკური მეთოდების პრაქტიკაში დანერგვისათვის.

საჭიროა მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა დღეებში ყოველი ღონისძიებით გავაჩაღოთ მებრძოლი, მიზანსწრაფული პოლიტიკური აგიტაცია. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან უნარიანად გამოიყენონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფორმები და მეთოდები: ინდივიდუალური და ჯგუფური საუბრები, გაზეთების ხმამაღლა კითხვა, კოლმეურნეთა კრებები, ლექციები და მოხსენებები, პლაკატები და მოწოდებანი, ძირეული და რაიონული პრესა.

ამოცანა ის არის, რომ პოლიტიკური აგიტაციის სიმძიმის ცენტრი გადავიტანოთ ველად — მემინდვრეობისა და სატრაქტორო ბრიგადებში, იქ, სადაც წარმოებს ბრძოლა 1955 წლის უხვი მოსავლის მიღებისათვის. კიდევ უფრო ფართოდ მოვაწყოთ და მაღალ იდეურ დონეზე დავაყენოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა საგაზაფხულო სამუშაოთა დღეებში!

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ნ. მ. პეგოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ამხ. ნ. მ. პეგოვის დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად ამხ. ნიკოლოზ მიხეილის-ძე **პეგოვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. მ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1955 წლის 15 აპრილი.

საბჭოთა კავშირ-ავსტრიის კომუნიკე

ავსტრიის მთავრობის დელეგაციის მოსკოვში ყოფნის შესახებ

1955 წლის 12-15 აპრილს მოსკოვში წარმოებდა მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ, ერთი მხრივ, ავსტრიის მთავრობის დელეგაცია ფედერალური კანცლერის ინჟ. იულიუს რააბისა და ვიცე-კანცლერის დოქტორ ადოლფ შერფის მეთაურობით და, მეორე მხრივ, საბჭოთა მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ა. ი. მიქოიანის მეთაურობით. მოლაპარაკება მეგობრული სულისკვეთებით მიმდინარეობდა.

მოლაპარაკების შედეგად მხარეებმა აღნიშნეს, რომ როგორც საბჭოთა კავშირის მთავრობას, ისე აგრეთვე ავსტრიის რესპუბლიკის მთავრობას სასურველად მიჩნეათ, რაც შეიძლება მალე დაიდოს სახელმწიფო ხელშეკრულება დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ, რაც უნდა ემსახურებოდეს ავსტრიელი ხალხის ეროვნულ ინტერესებსა და ევროპაში მშვიდობის განმტკიცებას.

ავსტრიის დელეგაციამ განაცხადა, რომ ავსტრიის რესპუბლიკას იმ განცხადების შესაბამისად, რომელიც მან უკვე გააკეთა ბერლინის თათბირზე 1954 წელს, განზრახული აქვს არ შეუერთდეს რაიმე სამხედრო კავშირს და არ დაუშვას თავის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზები. ავსტრია ყველა სახელმწიფოს მიმართ განახორციელებს დამოუკიდებლობის პოლიტიკას, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს ამ დეკლარაციის დაცვა.

საბჭოთა მხარემ გამოთქვა თანხმობა, რომ ოთხი საზელმწიფოს საოკუპაციო ჯარები გაყვანილ იქნან ავსტრიიდან ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ არაუგვიანეს 1955 წლის 31 დეკემბრისა.

ითვალისწინებენ რა ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობების განცხადებას, რომელიც ა. წ. 5 აპრილს გამოქვეყნდა, იმის შესახებ, რომ ისინი ცდილობენ, რაც შეიძლება მალე დაიდოს ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულება, საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის დელეგაციები გამოთქვამენ იმედს, რომ ამჟამად არის ხელსაყრელი შესაძლებლობა, რათა ავსტრიის საკითხი მოწესრიგდეს ოთხ საზელმწიფოსა და ავსტრიას შორის შესაბამისი შეთანხმების მიღწევის გზით.

საბჭოთა მთავრობა შემდეგ დათანხმდა თავისი განცხადების შესაბამისად, რომელიც მან გააკეთა ბერლინის თათბირზე 1954 წელს, მიიღოს სახელმწიფო ხელშეკრულების 35-ე მუხლში გათვალისწინებული თანხის — 150 მილიონი დოლარის ექვივალენტი მთლიანად ავსტრიის სანონლის მიწოდებით.

საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ იგი მზად არის, ავსტრიის ოკუპაციის საბჭოთა ზონაში გერმანიის ქონების წინათ გათვალისწინებული გადაცემის გარდა, სახელმწიფო ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ დაუყოვნებლივ გადასცეს ავსტრიას შესაბამისი ანაზღაურებით აგრეთვე დუნაის სანაოსნო კომპანიის ქონება, კორნეიბურგის ვერფის, ყველა გემისა და ნავსადგურის ნაგებობათა ჩათვლით. შემდეგ იგი დათანხმდა დაუთმოს ავსტრიას სახელმწიფო ხელშეკრულების 35-ე მუხლის თანახმად მისი კუთვნილი უფლებანი ნავთობსარეწ მინდვრებსა და ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებზე, ნავთობპროდუქტების სავაჭრო სააქციო საზოგადოების ჩათვლით, მხარეებს შორის შეთანხმებული ოდენობით ნედლი ნავთობის მიწოდების სანაცვლოდ.

გარდა ამისა, მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ უახლოეს დროში დაიწყოს მოლაპარაკება, რომლის მიზანი იქნება სავაჭრო ურთიერთობის ნორმალიზაცია ავსტრიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

საბჭოთა დელეგაციამ აცნობა ავსტრიის დელეგაციას, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოთქვა თანხმობა კეთილსასურველად განიხილოს ავსტრიის ფედერალური პრეზიდენტის დოქტორ კერნერის თხოვნა იმ ავსტრიელთა სამშობლოში დაბრუნების შესახებ, რომლებიც სასჯელს იხდიან საბჭოთა სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით. ავსტრიიდან საბჭოთა საოკუპაციო ჯარების გამოყვანის შემდეგ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არ დარჩება არც ერთი სამხედრო ტყვე ან დაკავებული სამოქალაქო პირი ავსტრიის მოქალაქეთაგან.

მოსკოვიდან გაემგზავრა ავსტრიის მთავრობის დელეგაცია

15 აპრილს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა ავსტრიის მთავრობის დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირში იყო საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

დელეგაციას მეთაურობდა ავსტრიის ფედერალური კანცლერი ბ-ნი ი. რააბი. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: ვიცე-კანცლერი ბ-ნი ა. შერფი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ლ. ფიგლი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი ბ-ნი ბ. კრეისკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების უფროსი დესპანი ბ-ნი ი. შონერი, საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლის განყოფილების უფროსი დესპანი ბ-ნი ს. ვეროსტა და მათი თანმხლები პირები.

ცენტრალურ აეროდრომზე ავსტრიის მთავრობის დელეგაცია გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა, საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ი. გ. კაბანოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ა. ა. გრომიკომ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ს. სემიონოვმა, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ პ. ნ. კუმეკინმა, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა და უმაღლესმა კომისარმა ავსტრიაში ი. ი. ილიჩოვმა, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ა. იასნოვმა, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა ავსტრიაში ვ. ი. კლოჩეკმა, ქალაქ მოსკოვის კომენდანტმა გენერალ-მაიორმა ი. ს. კოლესნიკოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მე-3 ევროპული განყოფილების გამგემ ს. გ. ლაპინმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგემ ე. დ. კისელიოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, საბჭოთა და უცხოელმა კორესპონდენტებმა.

დელეგაცია გააცილეს ავსტრიის საელჩოს თანამშრომლებმა სსრ კავშირში ავსტრიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ნ. ბიშოფის მეთაურობით, აგრეთვე მთელი რიგი სხვა საელჩოებისა და მისიების მეთაურებმა და თანამშრომლებმა.

აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ავსტრიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომი მორთული იყო ავსტრიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით.

მოსკოვიდან გამგზავრების წინ ავსტრიის ფედერალურმა კანცლერმა ბ-ნმა ი. რაბამ აეროდრომზე მიკროფონთან გააკეთა შემდეგი განცხადება:

— ჩვენ ვბრუნდებით ვენაში ბედნიერნი. აქ მოსკოვში მოლაპარაკების დროს შესრულებულ იქნა კარგი მუშაობა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ხალხთა შორის მშვიდობისათვის.

ჩვენ მივემგზავრებით გულითადი მადლობით და ვუსურვებთ საბჭოთა კავშირის ხალხებს დიდ ბედნიერებას მომავალში. (საკდესი).

3. 3. მაიაკოვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

14 აპრილს 25 წელი შესრულდა ჩვენი საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტის, სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის ვლადიმერ მაიაკოვსკის გარდაცვალების დღიდან.

პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გაიმართა კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. აქ შეიკრიბნენ დედაქალაქის საწარმოთა მუშები, მოსკოვის ოლქის კოლმეურნეები, ცნობილი მწერლები და პოეტები, მეცნიერული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ხელოვნების მუშაკები.

სხდომა გახსნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ა. ა. სურკოვმა, რომელმაც თქვა:

— მაიაკოვსკიმ საბჭოთა პოეზიის ისტორიაში ჩაწერა ყველაზე ამაღელვებელი, ყველაზე მძლავრი და ყველაზე მგზნებარე სტრიქონები ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის შესახებ. და ახლა, როცა მან განვლო დროის გამოცდა, მაიაკოვსკი — პოეტი, აგიტატორი, ტრიბუნი, როგორც ცოცხალი ცოცხლებს ელაპარაკება ჩვენს თანამედროვეებს.

მოხსენება „ვ. ვ. მაიაკოვსკის ტრადიციები და თანამედროვე პოეზია“ გააკეთა პოეტმა მ. კ. ლუკონინმა.

საღამოზე გამოვიდნენ პოეტები ნ. ასეევი, ს. კირსანოვი, ა. კულეშოვი, კ. სიმონოვი, ნაზიმ ჰიქმეთი და სხვები.

რუსეთის სფსრ დამსახურებულმა არტისტმა ვ. აქსიონოვმა წაიკითხა შესავალი მაიაკოვსკის პოემისა „მთელი ხმით“ (საკდესი).

გაიხსნა ვ. ვ. მაიაკოვსკის ბრინჯაოს ძანდაკება

14 აპრილს მოსკოვში გაიხსნა ვლადიმერ მაიაკოვსკის ბრინჯაოს ქანდაკება. ვ. მაიაკოვსკის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკა-მუზეუმის შენობასთან შეიკრიბნენ დედაქალაქის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი, მაიაკოვსკის ახლო მეგობრები და ნათესავები.

მიტინგი გახსნა ბიბლიოთეკა-მუზეუმის დირექტორმა ა. ს. ეზერსკაიამ. ვ. ვ. მაიაკოვსკის გარდაცვალების 25-ე წლისთავის მომმზადებელი და მომწყობი კომისიის თავმჯდომარემ ა. სურკოვმა გადაჭრა ლენტი. დაიშვა თეთრი საბურველი, და შეკრებილებმა იხილეს მაიაკოვსკის თითქმის სამმეტრიანი ბრინჯაოს ფიგურა გრანიტის კვარცხლბეკზე. ქანდაკების ავტორია ახალგაზრდა ქართველი მოქანდაკე გ. კორძახია.

— ოცდახუთი წელი, რაც გავიდა მაიაკოვსკის გარდაცვალების შემდეგ, — თქვა თავის სიტყვაში ა. სურკოვმა, — პოეტის შემოქმედების ტრიუმფალური სვლის წლები იყო; მაიაკოვსკის მგზნებარე, მომზიბვლელი ლექსი მთელ მსოფლიოში რაზმავს ადამიანებს ახალი ბედნიერი ცხოვრების ასაშენებლად.

სიტყვები წარმოთქვეს პოეტებმა ნ. ასეევმა და ს. კირსანოვმა. მხატვრული სიტყვის ოსტატებმა ვ. აქსიონოვმა და ს. ბალაშოვმა წაიკითხეს მაიაკოვსკის ლექსები. (საკდესი).

მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე

რედაქციაში შემოსული წერილების მიმოხილვა

○ ○ ○

ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვება ჩვენს რესპუბლიკაში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს.

„კომუნისტის“ რედაქცია საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან სისტემატურად იღებს მშრომელთა წერილებს, რომლებშიც გამოხატულია საბჭოთა ადამიანების კეთილშობილური სურვილები და მისწრაფებანი, მტკიცე მზადყოფნა — დაიცვან მშვიდობა!

სტალინირის მექანიკურ ქარხანაში გამართულ მიტინგზე, რომელიც მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერას მიეძღვნა, ზეინკალმა **ვ. ტრუფანოვმა** განაცხადა:

— სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელები მხურვალედ ვიწონებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება, ხალხთა მეგობრობა და ურთიერთგაგება. ატომის ენერგიის აღმოჩენა — ადამიანის გონების ეს უდიდესი მიღწევა — უნდა ემსახურებოდეს კაცობრიობის ცხოვრების შემდგომ პროგრესს, მის კეთილდღეობას, მშვიდობის საქმეს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ერთსულოვნად აწერენ ხელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეები. ძარწემის, არგვიცის, ქსუისის, წინაგრის, ავნევისა და სხვა კოლმეურნეობების კრებებზე კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს ვადაზე ადრე და მაღალხარისხოვნად ჩაატარონ საგაზაფხულო სამუშაოები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი, ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ქ. ლავასანი** რედაქციისადმი გამოგზავნილ წერილში წერს:

— დაგველმა კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერა აღნიშნონ საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგის ახალი აღმავლობისათვის თავდადებული ბრძოლით. წელს ჰექტარზე მივიღებთ 6.000 კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს, მოვკრეფთ და სახელმწიფოს ჩავაბარებთ 4.500 ათას ცალ ციტრუსოვანთა და 100 ათას კილოგრამ ტუნგოს ნაყოფს. საკვები ბაზის გაფართოების მიზნით დავთესავთ სიმინდს 26 ჰექტარზე, მოვაწყობთ ბუნებრივ სათიბს 34 ჰექტარზე, ავამაღლებთ პირუტყვის პროდუქტიულობას და თვითეულ საფურაქე ძროხაზე მივიღებთ 2.500 კილოგრამ რძეს. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ამით შემდგომ განვამტკიცებთ საბჭოთა სამშობლოს ეკონომიურ და თავდაცვითს ძლიერებას!

რედაქციამ მიიღო წერილი, რომლითაც ჭიათურელი მაღაროელები: ლენინის სახელობის მაღაროს მარგანეცს დამტვირთავი მანქანის მემანქანე **ს. შველიძე**, უბნის გამგე **პ. ჩაჩანიძე**, მოწინავე მუშები **ა. დეკანოიძე, ა. ფალავანდიშვილი**, სტალინის სახელობის მაღაროს ნოვატორი მნგრეველი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ტ. ფოფხაძე** გვატყობინებენ: ერთსულოვნად ვაწერთ ხელს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას, სიტყვას ვაძლევთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას, რომ მეტალურგიულ მრეწველობას არ მოვაკლებთ მაღალხარისხოვან მარგანეცს. დაე ახსოვდეთ ომის გამჩაღებლებს, რომ ვინც ქარს დათესავს, ქარიშხალს მოიმკის.

ხაშურის საელმავლო დეპოს პარტბიუროს მდივანი **გ. ნოზაძე** რედაქციას ატყობინებს, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერასთან დაკავშირებით დეპოს კოლექტივმა იკისრა ახალი ვალდებულებანი. ჩვენი გადაწყვეტილებაა, წერს იგი, რომ ახალ რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად ელმავლების შეკეთებისათვის დაწესებული დრო 8 საათით შევამციროთ.

პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული წერილები გამოუგზავნეს რედაქციას მკითხველებმა: **რ. ჩაჩუამ** (ბათუმის რაიონის ახალშენის საბჭოთა მეურნეობა), **ფ. მაჩიტიძემ** (ჭიათურა), **ი. მჭედლიშვილმა** (თბილისი), **დ. ავქოფაშვილმა** (სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და სხვებმა.

წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მშრომელებმა აღფრთოვანებით მოაწერეს ხელი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას. **სურათზე:** კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მუშაკები (მარცხნიდან მარჯვნივ) — ა. ცოფურიშვილი, ი. ქადაგიძე, ზ. ნათელაძე და ო. ნარიმანიძე ხელს აწერენ მიმართვას.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

ვ. ი. ლენინი — კომუნისტური პარტიის დიდი ორგანიზატორი და ბელადი

„პრავდა“, 14 აპრილი.

22 აპრილს სრულდება ოთხმოცდახუთი წელი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, მთელი მსოფლიოს შრომელთა ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადებიდან.

ვ. ი. ლენინი მარქსიზმის გენიალური თეორეტიკოსი და მასების დიდი ორგანიზატორია. მან შემოქმედებითად განავითარა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის რევოლუციური მოძღვრება, გაამდიდრა მარქსისტული მეცნიერება კლასობრივი ბრძოლის კანონების შესახებ, შექმნა მთლიანი მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, კომუნისტური პარტიის შესახებ, შეიმუშავა სოციალისტური რევოლუციის ახალი, დასრულებული თეორია, დაასაბუთა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა, დასახა სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების აშენების გეგმა, სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის გზები.

ლენინი იყო დამაარსებელი რევოლუციური, მარქსისტული პარტიისა, ახალი ტიპის პარტიისა, როგორიც წინათ არ ყოფილა პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ამ პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინის მეთაურობით ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა დაამხეს მემამულეები და კაპიტალისტები და დაამყარეს თავიანთი, საბჭოთა ხელისუფლება. კომუნისტების პარტიამ, რომელიც განუხრელად მიდიოდა ლენინური გზით, საბჭოთა კავშირის ხალხები მიიყვანა სოციალიზმის გამარჯვებამდე და ახლა მტკიცე რწმენით მიჰყავს ისინი დიადი მიზნის მიღწევისაკენ — კომუნიზმისაკენ.

ლენინის მიერ შექმნილი მებრძოლი, მარქსისტული პარტია ნიმუშია ყველა ნამდვილად პროლეტარული პარტიისათვის, რომლებიც იბრძვიან ექსპლოატატორებისა და მჩაგვრელების წინააღმდეგ, კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ, საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის.

ლენინის იდეები მძლავრ გავლენას ახდენენ მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე. ლენინიზმი დიადი ცხოველმყოფელი მოძღვრებაა, რომელიც აშუქებს კომუნიზმის მშენებლობის გზას. ლენინის იდეები ცოცხლობენ და იმარჯვებენ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის მშრომელთა საქმეებში, საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობაში, რომელიც იზრდება და მტკიცდება.

I.

ვ. ი. ლენინი პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდა XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს, როცა მსოფლიო კაპიტალიზმი გადაიზარდა განვითარების თავის უკანასკნელ, იმპერიალისტურ ფაზაში, როცა უკიდურესად გამწვავდა ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგობები და დაიწყო კაპიტალიზმის საიერიშოდ პროლეტარიატის ძალთა პირდაპირი მომზადების პერიოდი. მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა რუსეთში გადმოინაცვლა. აქ მწიფდებოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. იგი უნდა მომხდარიყო პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის შეუდარებლად უფრო განვითარებულ პირობებში, ვიდრე ეს დასავლეთის ბურჟუაზიული რევოლუციების პერიოდში იყო.

ისტორიის მთელ მსვლელობას რუსეთის პროლეტარიატი მომავალი სახალხო რევოლუციის ბელადად, ჰეგემონად გამოჰყავდა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში ლენინმა მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ რუსი მუშა, შეითვისებს რა მეცნიერული სოციალიზმის იდეებს, სათავეში ჩაუდგება ყველა დემოკრატიულ ელემენტებს, დაამხობს აბსოლუტიზმს და აშკარა პოლიტიკური ბრძოლის პირდაპირი გზით წავა ძლევამოსილი კომუნისტური რევოლუციისაკენ.

დიდი ლენინი ნათლად ხედავდა, რომ მუშათა კლასს წარმატებით შეუძლია შეასრულოს თავისი ისტორიული მისია კაპიტალიზმის დამანგრეველისა და ახალი, კომუნისტური საზოგადოების შემოქმედისა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას თავისი, მარქსისტული პარტია ეყოლება.

მუშათა კლასს ესაჭიროებოდა არა ძველი პარტია მეორე ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატიული პარტიების ტიპისა, რომლებიც დაავადებული იყვნენ ოპორტუნიზმით და პარლამენტური კრეტინიზმით, არამედ ახალი, ბრძოლისუნარიანი პარტია. ძალაუფლების მოპოვებისათვის პროლეტარიატის მომზადების ეპოქა მოითხოვდა რევოლუციის საქმისადმი უაღრესად ერთგულ პარტიას, მოწინავე თეორიით შეიარაღებულს, რომელსაც უნარი ექნებოდა სწორად გარკვეულიყო კლასობრივი ბრძოლის რთულ პირობებში, რომელსაც შეეძლებოდა დაერაზმა მასები, ამოძრავებინა ისინი დიადი რევოლუციური ამოცანების გადასაწყვეტად.

შთამაგონებელ მოწოდებად გაისმა ლენინის სიტყვები, რომლებიც მან ნაჩვარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დაწერა:

— მოგვეცით რევოლუციონერთა ორგანიზაცია — და ჩვენ გადავატრიალებთ რუსეთს!

მთელი თავისი ტიტანური ენერგია, მთელი თავისი ორგანიზატორული გენია ლენინმა მოახმარა მებრძოლი, მარქსისტული პარტიის შექმნას რუსეთში. ასეთ პარტიაში ლენინი ხედავდა ყოველივე იმის განსახიერებას, რაც კი საუკეთესო, მოწინავე და მოაზროვნეა მუშათა კლასში, მშრომელთა მასებში.

ლენინის დიდი დამსახურება ეს არის, რომ, ეყრდნობოდა რა მარქს — ენგელსის ძირითად დებულებებს, მან შექმნა მწყობრი მოძღვრება პარტიის როგორც მუშათა კლასის მოწინავე, ორგანიზებული რაზმის შესახებ, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმის შესახებ, რომელიც მოწოდებულია წარმართოს მშრომელთა ყველა სხვა ორგანიზაციის საქმიანობა.

ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის შექმნა მოითხოვდა შუშათა მოძრაობის შეერთებას სოციალიზმთან, მარქსისტული იდეოლოგიის შეტანას მუშათა შეგნებაში. ამ ამოცანის გადასაწყვეტად აუცილებელი იყო ნაროდნიკთა, „ლეგალურ მარქსისტთა“, „ეკონომისტთა“ და მარქსიზმისადმი მტრულ სხვა მიმდინარეობათა იდეური განადგურება. ლენინმა შეიმუშავა პარტიის იდეოლოგიური საფუძვლები, აამაღლა რევოლუციური თეორიის მნიშვნელობა, გვიჩვენა, რომ მოწინავე მებრძოლი როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ მოწინავე თეორიით შეიარაღებულ პარტიას.

პარტიის მშენებლობის პროცესში განსაკუთრებული სიმწვავით დადგა მისი ორგანიზაციული პრინციპების საკითხი. წინააღმდეგ მენშევიკებისა, რომლებიც ორგანიზაციულ მოდუნებულობას ქადაგებდნენ, უდისციპლინობას აქეზებდნენ, ლენინი იბრძოდა ერთიანი, ცენტრალიზებული პარტიის, რკინისებური დისციპლინით შემჭიდროებული პარტიის შექმნისათვის. მარქსისტულ მოძღვრებაში ლენინის შესანიშნავი წვლილი იყო ახალი ტიპის პარტიის ორგანიზაციული საფუძვლების შემუშავება. მან გამომუშავა პარტიული ცხოვრების მტკიცე ნორმები, პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპები. ეს პრინციპები ითვალისწინებენ უმაცრეს დისციპლინას, რომელიც თანაბრად სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისათვის, დემოკრატიული ცენტრალიზმის თანმიმდევრულად განხორციელებას, კომუნისტების აქტივობის ყოველი ღონისძიებით განვითარებას, მუშაობის ნაკლოვანებებისა და შეცდომების კრიტიკის გაბედულად გაშლას. ლენინმა გვიჩვენა, რომ პარტიული ხელმძღვანელობის უმაღლესი პრინციპია კოლექტიურობის პრინციპი.

ახალი, რევოლუციური ეპოქის პირობებში პროლეტარულ პარტიას ტაქტიკაც ახალი ესაჭიროებოდა. ამ ტაქტიკას ლენინმა საფუძველი ჩაუყარა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში. ლენინმა დაასაბუთა სახალხო რევოლუციაში მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის იდეა. მან დაამტკიცა, რომ პროლეტარიატის ჰეგემონია ბურჟუაზიულ რევოლუციაში გლეხობასთან მისი კავშირით უნდა გადაიზარდოს მუშათა კლასის ჰეგემონიად სოციალისტურ რევოლუციაში უღარიბეს გლეხობასთან და ქალაქის ნახევრადპროლეტარულ ელემენტებთან მისი კავშირით. ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკური საფუძვლები, რომლებიც ლენინმა შეიმუშავა, მარქსიზმის საგანძურში შეტანილი გენიალური წვლილი იყო.

რეაქციის წლებში, როცა რევოლუციის წვრილბურჟუაზიულ თანამგზავრებს — ესერებს, ანარქისტებს, მენშევიკებს შორის დაცემულობა და დემორალიზაცია, დაქსაქსულობა და რენეგატობა იყო გაბატონებული, როცა გაძლიერდა პარტიის მტრების ცდები დაემახინჯებინათ მარქსიზმი, ძირი გამოეთხარათ კომუნიზმის თეორიული საფუძვლისათვის — დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმისათვის, ლენინმა, რომელიც ანადგურებდა მოწუწუნეებსა და ურწმენოებს, რევიზიონისტებსა და გადაგვარებულებს, დაიცვა და შემოქმედებითად შემდგომ განავითარა მარქსისტული ფილოსოფია, შეიმუშავა ბოლშევიკური პარტიის თეორიული საფუძვლები.

ლენინის მჩქეფარე მოღვაწეობამ უზრუნველყო ბოლშევიკური პარტიის როგორც შემოქმედებითი მარქსიზმის პარტიის, სოციალური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის პარტიის ყოველმხრივი იდეოლოგიური, ორგანიზაციული, პოლიტიკური, თეორიული მომზადება და შექმნა. ბოლშევიკური პარტიის შექმნა წიშნავდა ახალი ეტაპის წარმოშობას არა მარტო რუსეთის, არამედ აგრეთვე მთელ საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, როცა II ინტერნაციონალის პარტიებმა უღალატეს მუშათა კლასს და აშკარად გადავიდნენ იმპერიალისტური ბურჟუაზიის მხარეზე, გადაიქცნენ სოციალ-შოვინისტების პარტიებად, მხოლოდ ბოლშევიკური, ლენინური პარტია დარჩა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის, სოციალიზმის საქმის ერთგული.

ლენინმა პარტია შეაიარაღა ნათელი თეორიითა და ტაქტიკით ომის, ზავისა და რევოლუციის საკითხებზე. ანალიზს უკეთებდა რა კაპიტალიზმის იმპერიალისტურ ფაზას, ლენინი მივიდა დასკვნამდე, რომ შესაძლებელია მსოფლიო იმპერიალიზმის ჯაჭვის გაწყვეტა მის ყველაზე სუსტ რგოლში, შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება თავდაპირველად რამდენიმე ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში. ეს იყო სოციალისტური რევოლუციის ახალი, დასრულებული თეორია, რომელმაც ცალკეული ქვეყნების პროლეტარებს დაუსახა პერსპექტივები მათს ბრძოლაში სოციალიზმისათვის.

კომუნისტური პარტია იზრდებოდა და მტკიცდებოდა ყველა ჯურის ოპორტუნისტების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში, იუფლებოდა რუსეთის შუშათა მოძრაობის გიგანტურ გამოცდილებას. არც ერთ ქვეყანაში, აღნიშნავდა ლენინი, დროის ისოდენ მოკლე მონაკვეთზე ისე უხვად კონცენტრირებული არ ყოფილა ბრძოლის მეთოდები და ფორმები — ლეგალური და არალეგალური, საწრეო და მასობრივი, მშვიდობიანი და ბობოქარი, — როგორც რუსეთში. ამასთან ერთად ჩვენი პარტია გულდასმით სწავლობდა და ეუფლებოდა სხვა ქვეყნების პროლეტართა რევოლუციურ გამოცდილებას. ლენინის მიერ შექმნილი ბოლშევიკური პარტია გამოვიდა როგორც ხალხის ძირეული ინტერესების, მისი სანუკვარი ფიქრებისა და ისტორიული მისწრაფებების გამომხატველი. კომუნისტების პარტია, ამბობდა ლენინი, „ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისია“.

მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლებში გამოწრთობილი კომუნისტური პარტია გამოვიდა, როგორც სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ძლევამოსილი ოქტომბრის რევოლუციისა, რომელმაც გვაუწყა ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში — სოციალიზმის ერა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის, კომუნისტური პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის ნამდვილი ტრიუმფი იყო.

II.

ბურჟუაზიის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შედეგად ძირეულად შეიცვალა კომუნისტური პარტიის მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში. ძველი, ექსპლოატატორული წყობილების ნგრევის პარტიიდან იგი გადაიქცა შემოქმედების პარტიად, საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ფორმების მშენებლობის პარტიად.

პარტიის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დადგა დიდი ისტორიული ამოცანები: განემტკიცებინა საბჭოთა სახელმწიფო, დაეძლია ჩვენი ქვეყნის საუკუნეობრივი ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა, უზრუნველყო სოციალისტური საზოგადოების აშენება.

ამ ამოცანების გადაწყვეტისათვის ჩვენი პარტია მომზადებული იყო მთელი თავისი გმირული ბრძოლით, რუსეთის სამი რევოლუციის გამოცდილებით. ლენინმა მას ასწავლა მასებისადმი ხელმძღვანელობის ხელოვნება, იმის უნარი, რომ შეიმუშაოს სწორი პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება მშრომელთა ძირეულ ინტერესებს და ითვალისწინებს ბრძოლის კონკრეტულ ისტორიულ პირობებს. დიდმა ბელადმა მოუწოდა პარტიას „ეიდევ უფრო მჭიდროდ დაერაზმა თავისი რიგები, გაბედულად წასულიყო სიძნელეთა გადასალახავად და უნარიანად, შეუპოვრად დაეძლია ისინი, იმ მილიონობით მუშათა და გლეხთა აქტიურ მხარდაჭერაზე დაყრდნობით, რომელნიც დამოუკიდებელი ისტორიული შემოქმედებისათვის აღდგნენ.

დიად შემოქმედებითს ამოცანებს საბჭოთა ხალხი განსაკუთრებით ძნელ პირობებში წყვეტდა: ცალი ხელით იგი ახალი საზოგადოების საძირკველს აშენებდა, მეორე ხელში „ი შაშხანა ეჭირა და მტრების გაოფთრებულ იერიშებს იგერიებდა. როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა იმპერიალისტი ინტერვენტებისა და შინაგანი კონტრრევოლუციის გაერთიანებული ძალების „ეიცხლის რკალში აღმოჩნდა, კომუნისტურმა პარტიამ დიდი ლენინის მეთაურობით დარაზმა მასები მსოფლიოში პირველი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. მან შექმნა სახელოვანი შეიარაღებული ძალები.

მიუხედავად უმაგალითო სიძნელეებისა, ნგრევისა და შიმშილისა, საბჭოთა ხელისუფლებამ დაამარცხა თავისი მტრები. აღტაცებას გამოთქვამდა რა ჩვენი გმირი ხალხის საგმირო საქმეებით, ლენინი ამბობდა: „...თითქმის სასწაულად გეჩვენება, რომ რუსმა ხალხმა და მუშათა კლასმა შეძლეს ამდენი ტანჯვისა და გაჭირვების გადატანა ისე, რომ არ ჰქონდათ არაფერი, გარდა დაუცხრომელი მისწრაფებისა გამარჯვებისადმი“. საბჭოთა ხალხმა გაიმარჯვა იმიტომ, რომ მუშათა და გლეხთა სათავეში იდგა ლენინური პარტია, ფოლადისაგან გამოჭედილი, მიზნის ერთიანობით, ნებისყოფისა და მოქმედების ერთიანობით ძლიერი პარტია, იმის უნარის მქონე, რომ გაიღოს ყოველგვარი მსხვერპლი მშრომელთა ინტერესებისათვის.

სამოქალაქო ომის ძლევამოსილად დამთავრებამ შესაძლებლობა მოგვცა შევდგომოდით მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობას. პარტიამ მოახდინა გაბედული მობრუნება სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკიდან ახალი ეკონომიური პოლიტიკისაკენ, რომელიც პროლეტარული სახელმწიფოს ერთადერთ სწორ პოლიტიკას წარმოადგენდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში.

გრანდიოზულ, თავისი მასშტაბებითა და სიღრმით უმაგალითო სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა განხორციელება პარტიას შეეძლო მხოლოდ იმ პირობით, თუ შეინარჩუნებდა თავისი რიგების უდიდეს შემჭიდროებას, ერთიანობას. ლენინი გვასწავლიდა: ვინც თუნდაც ერთი წუთით ასუსტებს პარტიის ერთიანობას, განსაკუთრებით პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, ის ბურჟუაზიის პირდაპირი ხელშემწყობია. ლენინი უღმობელ ბრძოლას ეწეოდა ყველა ჯურის უკლონისტების — ტროცკისტების, „მუშათა ოპოზიციის“, „დეცისტების“ და სხვა ფრაქციონერების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ გაეთიშათ პარტია, ხელი შეეშალათ მისთვის შეესრულებინა როლი ხელმძღვანელი ძალისა პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში.

ლენინმა შეაიარაღა პარტია სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების აშენების გენიალური, მეცნიერულად დასაბუთებული გეგმით. ეს გეგმა ითვალისწინებდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას კოოპერაციის საფუძველზე, კულტურული რევოლუციის განხორციელებას, საბჭოთა სახელმწიფოს ყოველი ღონისძიებით განმტკიცებას.

მხოლოდ მძიმე ინდუსტრიას, მთელი ქვეყნის ელექტროფიკაციას და ტექნიკის განუწყვეტელ განვითარებას შეუძლია უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობა, შექმნას მატერიალური საფუძველი მთელი სახალხო მეურნეობის გადაყვანისათვის სოციალიზმის რელსებზე.

„მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა ელექტროფიცირებული იქნება,— ამბობდა ლენინი, — როცა მრეწველობას, სოფლის მეურნეობასა და ტრანსპორტს შეეუქმნით თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ტექნიკურ ბაზას, მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ ჩვენ საბოლოოდ“.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, მთელი ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინურმა იდეებმა ყველაზე მკაფიო გამოხატულება ჰპოვა „გოელროს“ გეგმაში, რომელსაც პარტიის მეორე პროგრამა ეწოდა.

ნამდვილი გენიის ქმნილება იყო ლენინის კოოპერაციული გეგმა — გეგმა მილიონობით წვრილი გლეხური მეურნეობის თანდათანობით გადაყვანისა მსხვილი, კოლექტიური, სოციალისტური წარმოების გზაზე.

ლენინური პროგრამით შეიარაღებულმა ჩვენმა პარტიამ ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით შემუშავა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ბრძნული პოლიტიკა, დაიცვა ეს პოლიტიკა გააფთრებულ ბრძოლაში ტროცკისტებისა და ბუხარინელების წინააღმდეგ, რომელებიც ცდილობდნენ გადაეცდინათ პარტია და ჩვენი ქვეყანა ლენინური გზიდან, რაზმავდა მშრომელთა მილიონიან მასებს მისი განხორციელებისათვის.

ომისწინა ხუთწლედების განმავლობაში ჩვენმა ქვეყანამ მოახდინა ჭეშმარიტად გიგანტური ნახტომი წინ, გადაიქცა დიად ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტურ სახელმწიფოდ. 1940 წელს სსრ კავშირის მსხვილი მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 12-ჯერ აღემატებოდა 1913 წლის დონეს, ხოლო ამჟამად ჩვენი მსხვილი მრეწველობა 30-ჯერ და უფრო მეტ პროდუქციას აწარმოებს რევოლუციამდელ რუსეთთან შედარებით. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და საკოლმეურნეო წყობილების შექმნის შედეგად უზრუნველყოფილ იქნა სოციალიზმის გამარჯვება, ყველა ექსპლოატატორული კლასისა და იმ მიზეზების ლიკვიდაცია, რომლებიც წარმოშობენ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას.

სოციალიზმის აშენების მსოფლიო-ისტორიული ამოცანა კომუნისტურმა პარტიამ წარმატებით გადაწყვიტა იმიტომ, რომ იგი თანმიმდევრულად ახორციელებდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ლენინურ იდეას. მშრომელთა ამ ორი კლასის კავშირში ლენინი ხედავდა პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლეს პრინციპს, გადამწყვეტ საზოგადოებრივ ძალას, რომელსაც უნარი შესწევს საბოლოოდ დაძლიოს ექსპლოატატორთა წინააღმდეგობა და ააშენოს სოციალიზმი. ლენინმა უანდერძა პარტიას უდიდესი ყურადღებითა და გულმოდგინებით დაიცვას და განავითაროს მუშათა და გლეხთა კავშირი, განამტკიცოს მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი ამ კავშირში.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კომუნისტური პარტიის ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას. ახორციელებდა რა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, პარტია გადაჭრით სპობდა დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ნაციონალიზმის ყოველ გამოვლინებას, ძლევდა ყველა გადახრას ეროვნულ საკითხში. კომუნისტური პარტიის ეროვნულმა პოლიტიკამ შესაძლებლობა მოგვცა დაგვემყარებინა სსრ კავშირის ხალხთა ძმური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს სისტემაში.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა, რომ პარტია მუდამ არ ზრუნავდეს საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. ლენინი დაუღალავად შრომობდა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებისათვის, საბჭოთა სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის და მძლავრი საბჭოთა შეიარაღებული ძალების შექმნისათვის, რომლებსაც უნარი შესწევთ დაიცვან ხალხის დიდი სოციალისტური მონაპოვარი — [illegible] მუდამ გვახსოვდეს მტრული ბანაკი იმპერიალიზმისა, ფხიზლად ვადევნებდეთ თვალყურს მტრების ხრიკებს ჩვენი სოციალისტური რესპუბლიკის მიმართ.

საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დიადი უძლეველი ძალა თვალსაჩინოდ იქნა დემონსტრირებული სამამულო ომში ფაშისტ აგრესორთა წინააღმდეგ. კომუნისტური პარტია ამ ომში გამოვიდა როგორც სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი საყოველთაო-სახალხო ბრძოლისა სოციალისტური სამშობლოს თავისუფლების, ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის. სამამულო ომში საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებამ ცხადყო, რომ ხალხი, რომელიც თავის მშობლიურ ხელისუფლებას იცავს, უძლეველია.

მოახდინა რა ომის შედეგების ლიკვიდაცია და წარმატებით აღადგინა რა სახალხო მეურნეობა, საბჭოთა ქვეყანამ მიაღწია ეკონომიკისა და კულტურის მძლავრ აღმავლობას. ეს ახალი დადასტურებაა იმისა, თუ რა მძლავრი ცხოველმყოფელი ძალა აქვს სოციალისტურ სახელმწიფოს, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს.

III.

სოციალიზმისათვის ბრძოლებში განმტკიცდა და გამოიწრთო კომუნისტური პარტია. მან ყველა ქარიშხალსა და სიდუხჭირეში გამოატარა ლენინიზმის ძლევამოსილი დროშა. ამ დროშით პარტიას მტკიცე რწმენით მიჰყავს წინ საბჭოთა ხალხი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის გზით.

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ კომუნიზმი შეიძლება დამყარდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სოციალიზმი გაიმარჯვებს და განმტკიცდება. კომუნიზმის გზა — ეს არის სოციალიზმის საწარმოო ძალების ყველა ღონისძიებით განვითარება, საზოგადოებრივი საკუთრების გამრავლება და განმტკიცება, მშრომელთა შემდგომი კულტურული ზრდა და ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების მთლიანად დაძლევა.

როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა აღნიშნა, „კომუნისტურ პარტიას, რომელიც ხელმძღვანელობს დიდი ლენინის მოძღვრებით ჩვენი ქვეყნის მსხვილი მანქანური მრეწველობისა და ელექტროფიკაციის ყოველი ღონისძიებით განვითარების შესახებ, ისევე როგორც წინათ, თავის მთავარ ამოცანად მიაჩნია შემდგომი აღმავლობა მძიმე ინდუსტრიისა, რომელიც შეადგენს ჩვენი სამშობლოს მთელი სახალხო მეურნეობისა და ურყევი თავდაცვისუნარიანობის მტკიცე საფუძველს, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების წყაროს“. მხოლოდ მძიმე ინდუსტრიის ზრდისა და ქვეყნის ელექტროფიკაციის ბაზაზე შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში უახლესი ტექნიკის ფართოდ დანერგვა, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების სისტემატური ამაღლება. რაც უფრო მეტს ვაწარმოებთ ჩვენში ქვანახშირს, ნავთობს, ლითონს, მანქანებს, რაც უფრო იზრდება ჩვენს ქვეყანაში ელექტროსადგურების ქსელი, მით უფრო მდიდარი და ძლიერი ხდება ჩვენი სამშობლო. მძიმე ინდუსტრიის განუწყვეტელი ზრდის ბაზაზე ვითარდება მსუბუქი, კვების მრეწველობა და მრეწველობის სხვა დარგები, მძიმე ინდუსტრიის ბაზაზე ვითარდება ჩვენი მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

პარტია პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს სოფლის მეურნეობის შემდგომ ყოველმხრივ განვითარებას. სოფლის მეურნეობის საკითხებზე პარტიის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული დადგენილებანი წარმოადგენენ კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების, მუშაკთა, მთელი საბჭოთა ხალხის მოქმედების საბრძოლო პროგრამას. პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დაგვისახა გრანდიოზული სახალხო-სამეურნეო ამოცანა — უახლოესი 5-6 წლის განმავლობაში მარცვლეულის საერთო მოსავალი ავიყვანოთ სულ ცოტა 10 მილიარდ ფუთამდე და მეცხოველეობის პროდუქცია გავადიდოთ ორჯერ და უფრო მეტად. ამ კოლოსალური რეზერვების მაქსიმალურად გამოყენება, რომლებსაც სოციალისტური სოფლის მეურნეობა შეიცავს, საშუალებას გვაძლევს ვადამდე შევასრულოთ ეს ამოცანა.

ამ ამოცანის შესრულებისათვის საჭიროა მნიშვნელოვნად ავამაღლოთ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მხრივ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონე, გავხადოთ ეს ხელმძღვანელობა უფრო კვალიფიციური, კონკრეტული და ოპერატიული. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობათა განმტკიცებას ხელმძღვანელი კადრებით. ამას წინათ პარტიამ და მთავრობამ მიიღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება — შურჩეულ იქნას და ნებაყოფლობის საფუძველზე უახლოეს ხანში გაიგზავნოს კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ საშუალოზე სულ ცოტა 30 ათასი გამოცდილი ამხანაგი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, მუშებისა და მოსამსახურეების შემადგენლობიდან, რომლებსაც უნარი შესწევთ უზრუნველყონ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა. ეს ღონისძიება უდიდეს როლს შეასრულებს საკოლმეურნეო წყობილების შემდგომ განმტკიცებაში, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის უზრუნველყოფაში.

კომუნიზმის მშენებლობაში პარტიის მთელი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია იდეოლოგიური მუშაობა. კომუნისტური პარტია შემოქმედებითი მარქსიზმის პარტიაა, იგი განუწყვეტლივ ამახვილებს თავის იდეურ იარაღს, სისტემატურად აუმჯობესებს მასებზე იდეური ზეგავლენის ყველა საშუალებას, გადაჭრით ებრძვის რევოლუციური თეორიის ვულგარიზაციისა და დამახინჯების ყოველ გამოვლინებას. პარტიის იდეოლოგიური, აღმზრდელობითი მუშაობის მიზანია დაძლიოს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველი გამოვლინება, აღმოფხვრას ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთები, კიდევ უფრო აამაღლოს მშრომელთა აქტივობა კომუნისტურ მშენებლობაში.

ემყარება რა ლენინურ მითითებებს პარტიული ცხოვრების ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპების შესახებ, კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად განამტკიცებს თავისი რიგების ერთიანობასა და დისციპლინას, ყოველი ღონისძიებით ავითარებს შინაპარტიულ დემოკრატიას, კრიტიკასა და თვითკრიტიკას ყველა პარტიულ ორგანიზაციაში თავიდან ბოლომდე, აღწევს პარტიის საქმისათვის თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობის ამაღლებას.

პარტიის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია კადრების, პარტიის ყველა წევრის მარქსისტულ-ლენინური აღზრდა, მათი იდეური და პოლიტიკური გამოწრთობა. პარტიის წესდება თვითეული კომუნისტისაგან მოითხოვს იყოს მაგალითის მაჩვენებელი შრომასა და ბრძოლა ცხოვრებაში, უჩვენებდეს ყველა მშრომელს შეგნებულობის, პატიოსნების და გულმართლობის მაგალითს, ხალხისადმი თავდადებული სამსახურის მაგალითს, მაღლა ეჭიროს კომუნისტი-ლენინელის დროშა.

„ჩვენ, კომუნისტები, — ამბობდა ი. ბ. სტალინი, — განსაკუთრებული წყობის ადამიანები ვართ. ჩვენ გამოკვეთილი ვართ განსაკუთრებული მასალისაგან. ჩვენ ისინი ვართ, რომლებიც შევადგენთ უდიდესი პროლეტარული სტრატეგის არმიას, ამხანაგ ლენინის არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე ღირსება — ეკუთვნოდე ამ არმიას. არა არის რა იმაზე ოდრო მაღალი, ვიდრე პარტიის წევრის სახელწოდება, იმ პარტიისა, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია ამხანაგი ლენინი“.

კომუნისტური პარტია მოგვიწოდებს თანმიმდევრულად განვახორციელოთ ლენინის მიერ შემუშავებული და მრავალი წლის გამოცდილებით შემოწმებული პრინციპი კოლექტიური ხელმძღვანელობისა, რომელიც უზრუნველყოფს სწორი გადაწყვეტილებების მიღებას და მათ წარმატებით განხორციელებას. ცენტრალური კომიტეტის კოლექტიური გამოცდილება და კოლექტიური სიბრძნე, რომლებიც ემყარება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას და ხელმძღვანელი კადრების ფართო ინიციატივას, ხალხის მასების შემოქმედებითს ენერგიას. უზრუნველყოფს კომუნისტური მშენებლობის მთელი საქმის სწორ ხელმძღვანელობას.

ლენინიზმი გვასწავლის, რომ კომუნისტური პარტიის ძალაა მისი განუყრელი კავშირი ხალხთან. ხალხის ძალაა მისი დარაზმულობა კომუნისტური პარტიის გარშემო.

* * *

ვ. ი. ლენინი თავიდანვე აშენებდა კომუნისტურ პარტიას როგორც თანმიმდევრული პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პარტიას. თავის

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ვ. ი. ლენინი — კომუნისტური პარტიის დიდი ორგანიზატორი და ბელადი

(დასასრული)

ინტერნაციონალურ ვალდებულებებს ჩვენი პარტია ღირსეულად ასრულებს მთელი თავისი გმირული ისტორიის მანძილზე. ბოლშევიზმი, აღნიშნავდა ლენინი, ტაქტიკის მაგალითია ყველასათვის.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ განსაკუთრებით გაიზარდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო როლი. ყველა ქვეყნის პროლეტარებმა მას მიაკუთვნეს მსოფლიოს განმათავისუფლებელი მოძრაობის „დამკვრელი ბრიგადის“ სპატიო წოდება. იგი ეხმარებოდა და ეხმარება სხვა ქვეყნების მუშებსა და კომუნისტურ პარტიებს, რომლებიც იბრძვიან ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

ამავე დროს ჩვენი პარტია მუდამ სარგებლობს მეძმე პარტიების მხარდაჭერით. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ინტერნაციონალური კავშირი სხვა ქვეყნების მუშებთან, საბჭოთა ხალხის ძმური კავშირი ყველა ქვეყნის მშრომელებთან ჩვენი ქვეყნის ძლიერების ერთ-ერთი წყაროა.

დიდი ლენინი წინასწარ ხედავდა, რომ რაც უფრო მეტი იქნება სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი ჩვენს ქვეყანაში, მით უფრო გაძლიერდება სოციალიზმის ძალების ზრდა ყველა ქვეყანაში. ახლა, როდესაც ჩამოყალიბდა და განმტკიცდა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის დიდი საერთაშორისო ბანაკი საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის სახით, როდესაც თითქმის ყველგან გაიზარდნენ და განმტკიცდნენ კომუნისტური და მუშათა პარტიები, — განსაკუთრებული ძალით დასტურდება ლენინის ეს წინასწარხედვა.

სოციალისტური ბანაკის ხალხები, რომლებსაც კომუნისტური და მუშათა პარტიები ხელმძღვანელობენ, გაერთიანებულნი საერთო მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით, საერთო ამოცანებით მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში, — მტკიცე რწმენით შეჰყურებენ თავიანთ მომავალს. იმპერიალისტური ბანაკის ვერავითარი მუქარა და პროვოკაციები ვერ დააშინებს თავისუფალ ხალხებს, რომლებიც ახალ, სოციალისტურ ცხოვრებას ქმნიან.

„კომუნისტებმა უნდა იცოდნენ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ მომავალი ყოველ შემთხვევაში მათ ეკუთვნით, და ამიტომ უდიდესი მგზნებარება დიად რევოლუციურ ბრძოლაში ჩვენ შეგვიძლია შევუერთოთ (და უნდა შევუერთოთ) ბურჟუაზიის ცოფმორეული ბორგვის უაღრესად დინჯ და ფხიზელ გათვალისწინებას“.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც მშვიდობიან შრომას ეწევიან, ისევე როგორც სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები, ფხიზლად დგანან თავიანთი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სადარაჯოზე.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნების საგარეო პოლიტიკა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკაა. იგი ემყარება ლენინის მიერ მოცემულ ფუძემდებელ მითითებას სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების თანაარსებობის შესაძლებლობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარეულმა საგარეო პოლიტიკამ კეთილი ნების ასეული მილიონობით ადამიანის ცხარდაჭირა ჰპოვა ყველა ქვეყანაში. ამას მოწმობს მშვიდობის მომხრეთა მძლავრი საერთაშორისო მოძრაობა, ხალხის მილიონიანი მასები სულ უფრო აქტიურად გამოდიან მშვიდობის საქმის დასაცავად, იმპერიალისტ აგრესორთა ხრიკების წინააღმდეგ. მშრომელთა მასა ჩვენს მხარეზეა, ამბობდა ლენინი. ეს არის ჩვენი ძალა, ეს არის კომუნიზმის უძლეველობის წყარო.

მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეები მთელ კაცობრიობას უშუქებენ გზას მშვიდობის, თავისუფლებისა და პროგრესისაკენ.

მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წინ. კომუნიზმის გამარჯვებისაკენ! ლენინის საქმე უძლეველია!

ვ. ი. ლენინის დღეების აღსანიშნავად

ბათუმი. (საკ. კორ.). ახლოვდება კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინის დაბადების 85 წლისთავი. ამ დიად თარიღს მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ფართოდ აღნიშნავენ აჭარის მშრომელები.

პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიბლიოთეკაში მოწყობილია ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი ილუსტრირებული გამოფენა. პარტიული ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გამოფენილია რევოლუციის დიდი გენიის — ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი საბჭოთა მწერლების ნაწარმოებები.

ამ დღეებში პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტმა გამართა აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისა და აგიტპუნქტების გამგეების, აგრეთვე პოლიტიკურ მომხსენებელთა საინსტრუქტაჟო სემინარი თემაზე: „ვ. ი. ლენინი — კომუნისტური პარტიის შემქმნელი და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელი“. პარტიის სახლში კომიტეტის ლექტორები ა. ბაუკაძე, რ. კომახიძე, დ. დიასამიძე, ნ. პატარაია, ნ. გელბაკი, მ. ქერქაძე, ი. ბურჭულაძე და სხვები აწყობენ ლექციებს შემდეგ თემებზე: „სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია“, „ვ. ი. ლენინის მიერ მარქსისტული პარტიის თეორიული საფუძვლების შემუშავება“, „ვ. ი. ლენინის მიერ მარქსისტული პარტიის ტაქტიკური საფუძვლების შემუშავება და დასაბუთება“, „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სსრ კავშირში სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია“ და სხვ.

ვ. ი. ლენინის დაბადების 85-ე წლისთავისათვის ქალაქ ბათუმში რევოლუციის მოედანზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნება ვ. ი. ლენინის ძეგლი.

კაჭრეთის რაიონში

საკოლმეურნეო რადიოძალი

სოფელ ყანდაურის კოლმეურნეობამ კლუბის შენობაში რადიოკვანძი მოაწყო, აქედან გადასცემენ კონცერტებს და ლექციებს საინტერესო თემებზე. კლუბში მოწყობილია კინოაპარატი. კოლმეურნეებს რეგულარულად უჩვენებენ საინტერესო კინოფილმებს.

ახალი საავადმყოფო

რაიონის ცენტრში დამთავრდა საავადმყოფოს დიდი, კაპიტალური შენობის აგება. საავადმყოფოს აქვს 50 საწოლი, ცალკეა ოპერაციო, ლაბორატორიის, ავადმყოფთა მისაღები და სხვა ოთახები. გაყვანილია კანალიზაცია და წყალსადენი.

ძუძუმბის კეთილმოწყობა

დღითიდღე ლამაზდება და მშვენდება კაჭრეთის ქუჩები. ოდესღაც ხრიოკი ადგილები ახლა მწვანე ნარგავებმა დაამშვენა. ჩატარებულია წინასწარი სამუშაოები ცენტრალური ქუჩის 2 კილომეტრზე მოასფალტებისათვის, მოიკირწყლა სადგურისაკენ მიმავალი ქუჩა. დაწყებულია ქუჩებში ლამპიონების დაყენება.

მტს-ის სასადილო

კაჭრეთის მტს-ში ახლახან დამთავრდა კაპიტალური შენობა, სადაც მექანიზატორთა სასადილო გაიხსნა. დაიწყო დიდი სასურსათო მაღაზიის მშენებლობა, რაზეც 130.000 მანეთი დაიხარჯება.

მილიონი ცალი აგური ხელიწაღში

ბადიაურის აგურის ქარხანა პრემიტიულად იყო მოწყობილი, იგი წლიურად მხოლოდ 150.000 ცალ აგურს უშვებდა. ახლა მიმდინარეობს მისი მთლიანი რეკონსტრუქცია, შენდება მუდმივმოქმედი კამერული ღუმელები, მექანიზებული იქნება თიხის ჭრა და გადატანა.

წელს ქარხანა 1 მილიონ ცალ აგურს მიაწვდის რაიონის კოლმეურნეობებს.

ბ. ხეჩუაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გამსვლელი სამეცნიერო სესია გურჯაანის რაიონში

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული რესპუბლიკური პარტიული სკოლის კათედრებმა მოაწყეს გამსვლელი სამეცნიერო სესია გურჯაანის რაიონში. სესიაზე წაკითხული მოხსენებები უმთავრესად მიეძღვნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს და რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავს.

სოფელ ველისციხის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშაკთათვის პროფესორმა დ. მშვენიერაძემ წაიკითხა მოხსენება „მძიმე მრეწველობის შემდგომი განვითარება და მისი როლი სოფლის მეურნეობის აღმავლობაში“, დოცენტმა ი. ხოხლოვმა—„ახალი ტექნიკა სოფლის მეურნეობაში და მისი ათვისების ამოცანები“, პროფესორმა ს. ერქომაიშვილმა — „მეცხოველეობის განვითარების ამოცანები და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების ხერხები“.

სოფელ გურჯაანის კოლმეურნეებმა მოისმინეს მოხსენებები შემდეგ თემებზე: „მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებანი და სოფლის მეურნეობის დაეუფლების ახალი წესი“ (დოცენტი გ. კუპრეიშვილი), „პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების შეხამება კოლმეურნეობაში“ (დოცენტი რ. წულუკიძე), „კახეთის გლეხთა რევოლუციური მოძრაობა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში“ (დოცენტი გ. ათანელიშვილი). მოხსენებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრეებში. მომხსენებლებს მრავალი შეკითხვა მისცეს.

რაიონის ცენტრში პროფ. დ. ენუქიძეს წაკითხა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

ბ. მეგრელიშვილი.

ეარ დავუშვათ სიმინდის ნათესების შემცირება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა გადაუდებელ საბრძოლო ამოცანად დასახა სიმინდის ნათესების მნიშვნელოვნად გადიდება და მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლება. „სიმინდი იმით არის ძვირფასი, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში, — რომ მარტო ეს კულტურა ერთსა და იმავე დროს წყვეტს ორ ამოცანას — მარცვლეულის რესურსების შევსებას და სიმინდის ღეროსაგან კარგი სილოსის მიღებას“. უნდა აღინიშნოს, რომ სასურსათო მოხმარებასთან ერთად სიმინდს თავისი პოტენციური შესაძლებლობებით პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებაში ბადალი თითქმის არ მოეპოვება. სიმინდი დროულად დათესვისა და კარგი მოვლის პირობებში ბარაქიან მოსავალს იძლევა და საშუალებას გვაძლევს გადავწყვიტოთ პრობლემა პირუტყვის უხვად კვებისა წვნიანი და მნიშვნელოვანწილად კონცენტრირებული საკვებით — მარცვლისა და დაკონსერვებული მოუმწიფებელი ტაროს სახით.

სიმინდის ფართოდ გავრცელების საშუალებაა ჩვენი რესპუბლიკის ყველა რაიონში. საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები დიდი პასუხსაგები ამოცანის წინაშე დგანან. გაჩაღებულია სიმინდის მასობრივი თესვა. აპრილი სიმინდის თესვის გეგმის შესრულების გადამწყვეტი თვეა.

სამწუხაროდ, ზოგან პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები სიმინდის, როგორც ძვირფასი მარცვლეული და საკვები კულტურის აშკარა შეუფასებლობას იჩენენ. შემჩნეულია, რომ კოლმეურნეობათა პერსპექტიული გეგმების შედგენისას სიმინდის ნათესებს ამცირებენ, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს, კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების ინტერესებს. მაგალითად, საჩხერის რაიონში გასულ წელს სიმინდის ნათესს 7.500 ჰექტარი ეკავა, 1955 წლის გეგმით სიმინდის დათესვა გაითვალისწინეს 6.000 ჰექტარზე. ვანის რაიონში წლიური საწარმოო გეგმა ისე შეადგინეს, რომ ბარშანდელთან შედარებით სიმინდის ნათესები წელს 1.028 ჰექტარით მცირდება, ჭიათურის რაიონში კი 1.152 ჰექტარით. სიმინდის ნათესების შემცირების ფაქტები წულუკიძეს, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ჩოხატაურის და სხვა რაიონებში. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შევურიგდეთ სიმინდის ნათესების შემცირებას, რაც დიდ ზიანს მიაყენებს მარცვლეულის რესურსების გადიდებას, საზოგადოებრივ მეცხოველეობას.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უზრუნველყონ სიმინდის დიდი რაოდენობით დათესვა. მტს-ები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობებს მაქსიმალურად გამოიყენონ სიმინდის ნათესის გაფართოებისა და მოსავლიანობის გადიდების რეზერვები.

ზოგიერთი მუშაკი ასე მსჯელობს: ფართობებს შევამცირებთ, მაგრამ სამაგიეროდ მოსავლიანობას გავადიდებთ და საერთო ანგარიშით არაფერი დაგვაკლდებაო. ასეთი მსჯელობა საზიანოა საქმისათვის. პარტიამ მიგვითითა, რომ მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად უნდა გავზარდოთ სიმინდის ფართობები.

სიმინდის თესვის ტემპის გადაჭრით გაძლიერებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კვადრატულ-ბუდობრივად თესვას, რის შედეგად მოსახერხებელია ნათესების მექანიზებული დამუშავება ორი მიმართულებით. არსებობს ყველა პირობა იმისათვის, რომ წელს მტს-ებმა შეასრულონ კვადრატულ-ბუდობრივად თესვის დავალებანი. უფრო მეტიც, მთელ რიგ მტს-ებს, რომლებიც პირველხარისხოვანი ტექნიკით არიან შეიარაღებული და მექანიზატორთა საკმაო კადრები ჰყავთ, შეუძლიათ კვადრატულ-ბუდობრივად გეგმის გადამეტებით დათესონ სიმინდი. ეს ითქმის უწინარეს ყოვლისა წითელწყაროს, სიღნაღის, კაჭრეთის, საგარეჯოს, მარნეულის, ზუგდიდის, სამტრედიის, ხობის რაიონების მტს-ების შესახებ. საჭიროა მტს-ების ხელმძღვანელები და მექანიზატორები განიმსჭვალონ სრული პასუხისმგებლობის გრძნობით და პირნათლად შეასრულონ სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვის დავალება. კვადრატულ-ბუდობრივად თესვის სპეციალურ მანქანებთან ერთად საჭიროა ადგილებზე გამოიყენონ ხელით სათესი მანქანები, ამასთანავე სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვისათვის ნაკვეთები მოამზადონ მარკერებით.

კოლმეურნეობებმა პერსპექტიული გეგმების შედგენისას უნდა გაითვალისწინონ სიმინდის ნათესებისა და მოსავლიანობის გადიდება უკვე 1955 და მომდევნო წლებიდან და ამით მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრ ზრდას.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციები და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მოვალენი არიან მაქსიმალურად გაადიდონ სიმინდის ნათესები. ისინი ქმედითად უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობებს საკოლმეურნეო წარმოების სწორად დაგეგმვაში, სიმინდის საკითხი იქონიონ მხედველობის არეში და დარაზმონ მასები კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანის — მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი აღმავლობის განსახორციელებლად.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციაში შემოსული იყო წერილი, რომლითაც ჩვენი გაზეთის მკითხველი გვატყობინებდა, რომ 26 კომისრის რაიონის არტელ „საყოფაცხოვრებო მომსახურების“ ქიმიური წმენდის სახელოსნოში ცუდად წმენდენ ტანსაცმელს. წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს გამგეობას.

როგორც გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამბ. ს. ნოგიკი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. საამქროს გამგეს ნ. თამაზოვს და ქიმიური წმენდის ხელოსანს კ. ცინცაძეს გამოეცხადათ საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით, ხოლო ტექნიკური კონტროლის უფროსს კ. ცურაძეს მიეთითა.

ვ. ი. ლენინის დღეები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 14 აპრილი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია, ეროვნული ფრონტი, ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირი, პროფკავშირები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები ფართოდ აღნიშნავენ ვ. ი. ლენინის დაბადების 85-ე წლისთავს. ფაბრიკებსა და ქარხნებში, ერთიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებსა და სოფლის კულტურის სახლებში ეწყობა ლენინის დღეები.

პრაღის ვ. ი. ლენინის მუზეუმმა სახელმწიფო გამომცემლობასთან ერთად მოამზადა ლენინის იმ ნაწარმოებთა გამოფენა, რომლებიც გამოცემულია ჩეხოსლოვაკიაში.

პრაღისა და ბრატისლავის ვ. ი. ლენინის მუზეუმების, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მეცნიერი თანამშრომლები და ლექტორები კითხულობენ ლექციებსა და მოხსენებებს ვლადიმერ ილიას-ძის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ.

ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო ამზადებს ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილ ფოტოგამოფენებს.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 14 აპრილი. (საკდესი). უნგრელი ხალხი ემზადება, რათა ფართოდ აღნიშნოს ვ. ი. ლენინის დაბადების 85-ე წლისთავი. 15-დან 22 აპრილამდე საწარმოებში, დაწესებულებებში, სოფლებში მოეწყობა ამ თარიღისადმი მიძღვნილი კრებები. ეწყობა ლექციები და საუბრები ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის წარმატებათა შესახებ, რომლებიც მიღწეულია ლენინის იდეების განხორციელების მეოხებით.

21 აპრილს ბუდაპეშტის სახელმწიფო ოპერის თეატრის შენობაში გაიმართება საზეიმო სხდომა, რომელსაც აწყობენ უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და უნგრეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოება.

ვ. ი. ლენინის შრომები უნგრეთის მშრომელთა ფართო მასების კუთვნილება გახდა. უნგრეთის განთავისუფლების შემდგომ წლებში ისინი გამოცემულია 2 მილიონ 739 ათასი ცალი საერთო ტირაჟით. გამოცემულია ვ. ი. ლენინის თხზულებათა 26 ტომი.

პოლონეთი

ვარშავა, 14 აპრილი. (საკდესი). სახალხოდემოკრატიული ხელისუფლების 10 წლის მანძილზე ვ. ი. ლენინის შრომები პოლონეთში გამოიცა 9.177 ათასი ცალი საერთო ტირაჟით. გამოშვებულია ვ. ი. ლენინის თხზულებათა 21 ტომი, მთელი რიგი კრებულები ლენინის სტატიებისა, სიტყვებისა და აზრებისა სოციალისტური შეჯიბრების, სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის, პარტიული მშენებლობის, პროფკავშირების, სოციალიზმისათვის ბრძოლაში ქალის როლის შესახებ.

ლენინის ბევრი შრომა გამოცემულია რამდენჯერმე.

დასახულია წელს გამოიცეს ვ. ი. ლენინის თხზულებათა შემდგომი 5 ტომი, ლენინის შრომების თემატიკური კრებული საერთო სათაურით „მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ“. განახლდება აგრეთვე ვ. ი. ლენინის რჩეულ ნაწარმოებთა ორტომიანი კრებულისა და პოლონეთზე და პოლონეთის მუშათა მოძრაობის შესახებ ლენინის შრომების კრებულის გამოშვება. გამოდის წიგნი „ლენინი პოლონეთში“, რომელიც მოგვითხრობს ილიჩის ყოფნასა და მოღვაწეობას 1912-1914 წლებში კრაკოვში, პორონინოსა და ბელი დუნაეცში.

სიმინდის თესვის ხელსაყრელ ამინდებს ხელიდან უშვებენ

დადგა საგაზაფხულო კულტურების თესვის გადამწყვეტი პერიოდი. კასპელი კოლმეურნეები და მექანიზატორები დღითიდღე აძლიერებენ მინდვრის სამუშაოთა ტემპს. ბევრგან უნარიანად იყენებენ მატერიალურ-ტექნიკურ და შრომითს რესურსებს და წარმატებასაც აღწევენ.

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სოფელ მეტეხის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც რაიონში ყველაზე ადრე გაანაღდა საგაზაფხულო ხორბლის თესვის დავალება. ამჟამად გაჩაღებულია სიმინდის თესვა. ამ საქმეში კოლმეურნეობას კარგად ეხმარება კასპის მტს-ის ის სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც მ. გეჯაძე ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადის ტრაქტორისტმა ვ. გუგულაშვილმა 12 აპრილს კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 16 ჰექტარი სიმინდი და ამით დღიურ ნორმას 4 ჰექტარით გადააჭარბა.

ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლაში წინ მიდის სამთავისის მტს-ის მეოთხე სატრაქტორო ბრიგადა (ბრიგადირი შ. მელაძე), რომელმაც სოფელ აღაიანის კოლმეურნეობაში უკვე დაამთავრა სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვა. ახლა იგი მუშაობს ოკამის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობაში და სიმინდის თესვის დღიურ ნორმას ერთიორად ასრულებს.

მაგრამ ყველგან ასეთი მდგომარეობა როდია. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ვხვდებით სერიოზულ ნაკლოვანებებს. სოფელ ზემო ხანდაკის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში სათანადოდ ვერ იყენებენ არსებულ რეზერვებს, საკოლმეურნეო ბრიგადებში შრომა მოუწყობელია. ამით აიხსნება ის, რომ სიმინდის თესვა კოლმეურნეობაში მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ამ კოლმეურნეობას მომსახურებას უწევენ თეძამის მტს-ის მექანიზატორები. ზოგი მათგანის მუშაობაში იგრძნობა გულგრილობა, მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულება. 12 აპრილს სიმინდის თესვა მემინდვრეობის მეორე ბრიგადის ნაკვეთში დაიწყო მესამე სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი დ. კვესიაშვილი). აქ ტრაქტორისტად უნდა ემუშავა ს. ელისაბედაშვილს, მაგრამ იგი რატომღაც სამუშაოზე არ გამოცხადდა და ტრაქტორისტად მუშაობდა ბრიგადირის თანაშემწე ე. ელისაბედაშვილი, რომელმაც წესიერად ვერ გამართა ტრაქტორი. ორი ჰექტარის დათესვის შემდეგ ტრაქტორი დაზიანდა და მთელი დღე უქმად იდგა.

სამწუხარო ის არის, რომ რაც იმუშავეს, ისიც აგროწესების უხეში დარღვევით. სიმინდის მარცვლის 30 პროცენტი მიწაში არ იყო ჩაფლული. ამ ფაქტს გულდამშვიდებით შეჰყურებდა მტს-ის აგრონომი ი. კასრაძე და მემინდვრეობის ბრიგადირი ა. სამხარაძე. თვითონ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. გორგაძე აშკარად უპასუხისმგებლობას იჩენს სიმინდის თესვის საქმისადმი. მან ისიც კი არ იცოდა, თუ რა მდგომარეობა იყო იმ დღეს სიმინდის თესვაში.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თავისმართლების მიზნით განაცხადა: დღეს ვენახისათვის სარების მოსატანად ტყეში წავედი და სიმინდის თესვაზე ბარათი დავუტოვე აგრონომ ი. კასრაძესო (!).

კოლმეურნეობაში არ იციან, დღეში რამდენი ჰექტარი სიმინდი დათესონ. არა აქვთ საერთოდ საგაზაფხულო თესვის სამუშაო გეგმა, კერძოდ, ყოველდღიური გეგმა-გრაფიკიც არ შეუდგენიათ.

პარტიის რაიკომის მდივანი თეძამის მტს-ის ზონაში ამხ. ე. თარხნიშვილი სუსტად ეხმარება კოლმეურნეობას მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებში ჩამორჩენის გამოსასწორებლად. ამ მხრივ დამახასიათებელია ერთი ფაქტი. აგრონომმა ი. კასრაძემ ე. თარხნიშვილს აცნობა, 12 აპრილს ტრაქტორის ნაწილი გაფუჭდა და თესვა ფერხდებაო. თარხნიშვილმა არ ისურვა ადგილზე გაცნობოდა მდგომარეობას და არც დახმარება გაუწევია მექანიზატორებისათვის.

კოლმეურნეობაში გააჭიანურეს საკვები ჭარხლის თესვაც. ეს იმიტომ მოხდა, რომ თესლი დროულად არ მოიმარაგეს. ცუდად მიმდინარეობს ბოსტნეულის თესვა, ხოლო კვადრატულ-ბუდობრივად სიმინდის თესვას ჯერაც არ შესდგომიან.

დაივიწყეს მოსავლიანობის გადიდების ისეთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება, როგორიც არის სასუქების შეტანა. ეს სამუშაო სანახევროდაც არ არის შესრულებული. კოლმეურნეობაში კი უდარდელად აცხადებენ: რა ვქნათ, სასუქი არა გვაქვსო. ჩვენ კი ფერმის შენობასთან ვნახეთ ტონობით დაყრილი სასუქი. კოლმეურნეობამ უმნიშვნელო რაოდენობით გაიტანა სასუქი და მუშახელის დაქირავებაზე დახარჯა 2.670 მანეთი, მაშინ როდესაც ორი ავტომანქანა აქვს და 60 სული მუშაპირუტყვი ჰყავს.

მთელ რიგ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები აცხადებენ, მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებში იმიტომ ჩამოვრჩით, რომ მუშახელი არ გვყოფნისო. სინამდვილეში კი მათ ვერ მიაღწიეს არსებული შრომითი რესურსების მთლიანად გამოყენებას. მაგალითად, კავთისხევის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში 12 აპრილამდე სიმინდის თესვა არ დაუწყიათ, აგროვადების დარღვევით დათესეს შაქრის ჭარხალი, ხოლო საკვები ჭარხლის თესლს ახლა დაეძებენ.

შემოწმებით გამოირკვა, რომ მიმდინარე წლის იანვარში, თებერვალში, მარტში და აპრილის პირველ ნახევარში საკოლმეურნეო შრომაში მეოთხე ბრიგადიდან (ხელმძღვანელი ო. მექანარიშვილი) მონაწილეობა არ მიუღიათ ვ. ძამუკაშვილს, პ. კაციაშვილს, ო. ტაბაბაშვილს და სხვებს, სულ 29 კაცს. მსგავსი მდგომარეობაა თითქმის ყველა ბრიგადაში. არ წარმოებს არავითარი ახსნა-განმარტებითი მუშაობა, თუ რა დიდი ზიანი მოაქვს ამას კოლმეურნეობისა და კოლმეურნეებისათვის. კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ი. ხოკერაშვილი) და პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ვ. თაგვაშვილი) ურიგდებიან ამ ნაკლოვანებებს და საჭიროდ არ თვლიან სათანადო ზომების მიღებას ზარმაცებისა და მუქთახორების წინააღმდეგ. შრომითი რესურსებისა და დისციპლინის განმტკიცების მხრივ ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც სხვა კოლმეურნეობებშია.

კასპის მტს-ის მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებებს ვხვდებით. მექანიზატორები თვითეულ ტრაქტორს და სათეს მანქანას სრული დატვირთვით არ იყენებენ. მაგალითად, გეგმა-გრაფიკის მიხედვით 12 აპრილს მეორე სატრაქტორო ბრიგადას (ბრიგადირი ზ. მამულაშვილი) სიმინდის თესვა უნდა დაეწყო კასპის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში. ფაქტიურად ჩვენ ვნახეთ, რომ კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანა დილის 10 საათისათვის სოფელ ქვემო ხანდაკის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის მინდორში უპატრონოდ იყო მიტოვებული. გამოირკვა, რომ ბრიგადირი ზ. მამულაშვილი და მტს-ის დირექტორი შ. ხორიაშვილი სახელოსნოში აუჩქარებლად ეძებდნენ ტრანსპორტს სათესი მანქანის წამოსაღებად, ხოლო ამ მანქანაზე მიმაგრებული მექანიკოსი მ. მინდელაშვილი არხეინად დასეირნობდა.

ფაქტია ისიც, რომ ამ სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტმა ვ. გიგაურმა სოფელ ქვემო ხანდაკის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში ჭარხალი დათესა ისე, რომ ნაწილი თესლისა მიწაში არ იყო ჩაფლული. ეს კი ოდნავაც არ აღელვებთ არც მტს-ის მუშაკებს, არც კოლმეურნეობის გამგეობის წევრებს.

სიმინდის თესვის ხარისხს არ იცავს კასპის მტს-ის ტრაქტორისტი თ. აღაპიშვილი. იგი 13 აპრილს სოფელ კავთისხევის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდს კვადრატულ-ბუდობრივად თესავდა ისე, რომ ზოგან 7-10 მეტრ მანძილზე თესლი ზევით ეყარა. მემინდვრეობის ბრიგადირი ა. ქსოვრელი ურიგდება აგროწესის დარღვევის ფაქტებს.

სათეს მანქანებს სრული დატვირთვით არც სამთავისის მტს-ში იყენებენ. ამის შედეგად ცუდად მიმდინარეობს სიმინდის თესვა. აპრილის პირველ და მეორე ხუთდღიურში კვადრატულ-ბუდობრივად დათესილი ჰქონდათ მხოლოდ 42 ჰექტარი.

ზოგიერთი მექანიზატორი მანქანებს უდარდელად ეპყრობა. მეხუთე სატრაქტორო ბრიგადამ კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანა რატომღაც ბუდობრივად სათესად გადააკეთა და მუშაობის დროს მთელი რიგი ნაწილები გაუტყდა. შემდეგ კვლავ კვადრატულ-ბუდობრივად სათესად აწყობდნენ. გეგმის მიხედვით ამ ბრიგადას სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვა 13 აპრილს სოფელ ოგოეთის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში უნდა დაეწყო, სინამდვილეში კი ამ დღეს მთავარი მექანიკოსი ა. ბასიაშვილი სათეს მანქანას მტს-ის სახელოსნოში არემონტებდა.

რაიონში კვადრატულ-ბუდობრივად სათესი 15 მანქანა აქვთ. სამწუხაროდ, 13 აპრილამდე მუშაობდა მხოლოდ 7. ეს იმიტომ, რომ სათანადო მოწყობილობა არა აქვთ. ამ მხრივ მათ კუდად ეხმარება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

რაიონში სიმინდი უნდა დათესონ 3.267 ჰექტარზე, აქედან კვადრატულ-ბუდობრივად — 900 ჰექტარზე. დღიმდე აღებული ტემპით კასპელები ამ დაგალებას დროზე ვერ შეასრულებენ. თესვის საუკეთესო დღეები მათ ხელიდან გაუშვეს. 12 აპრილამდე თესვა არ ჰქონდათ დაწყებული სოფელ კასპის მარქსის სახელობის, გუდალეთის ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის, ჩობალაურის სტალინის სახელობის, თეზის ტელმანის სახელობის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებს. რაიონში აპრილის პირველ და მეორე ხუთდღიურში დათესა მხოლოდ 513 ჰექტარი, აქედან კვადრატულ-ბუდობრივად — 106 ჰექტარი. ეს მაშინ, როცა რაიონში აქვთ მწვრილად და კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანები. მარტო ამ მანქანებით რაიონს ყოველდღიურად შეუძლია დათესოს სულ ცოტა 400 ჰექტარი სიმინდი, ფაქტიურად კი ამის ნახევარიც არ ითესება.

როგორც ჩანს, პარტი

უცხოეთის საზოგადოებრიობა აღნიშნავს ვ. ვ. მაიაკოვსკის გარდაცვალების 25 წლისთავს

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

ბერლინი, 14 აპრილი. (საკდესი). ბერლინის დემოკრატიული პრესა ფართოდ აღნიშნავს ვ. ვ. მაიაკოვსკის გარდაცვალების 25-ე წლისთავს. გაზეთები აქვეყნებენ პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ სტატიებს, მოგონებებს მაიაკოვსკისთან შეხვედრებზე, მის ნაწარმოებთა ნაწყვეტებს.

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" მაიაკოვსკის ახასიათებს როგორც „რევოლუციისა და სოციალიზმის მგოსანს". დღეს, წერს გაზეთი, მაიაკოვსკის შემოქმედება მთელი მსოფლიოს მშრომელებს ეკუთვნით.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 14 აპრილი. (საკდესი). გუშინ უნგრეთ-საბჭოთა კავშირის საზოგადოებამ, უნგრეთის მწერალთა კავშირმა და თეატრისა და კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირმა გამართეს საბჭოთა ეპოქის გამორჩეული პოეტის ვ. მაიაკოვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. მოხსენება ვ. მაიაკოვსკის შემოქმედების შესახებ გააკეთა კოშუტის სახელობის პრემიის ლაურეატმა პროფესორმა ლასლო კარდოშმა. ბუდაპეშტის თეატრების მსახიობებმა წაიკითხეს პოეტის ნაწარმოებნი.

დღეს ყველა გაზეთმა მოათავსა ვ. მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი სტატიები და მის ნაწარმოებთა ნაწყვეტები.

სახალხო-დემოკრატიულ უნგრეთში მაიაკოვსკის ნაწარმოებნი დიდად პოპულარულია. უნგრულ ენაზე გადათარგმნილია პოემები „150 მილიონი", „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი", „კარგია", „მთელი ხმით" და ბევრი ლექსი. გამომცემლობა „უი მადიარ კენვკიადო" დასაბეჭდად ამზადებს ვ. მაიაკოვსკის თხზულებათა ოთხტომიან კრებულს.

პოლონეთი

ვარშავა, 14 აპრილი. (საკდესი). პოლონეთის საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს ვლადიმერ მაიაკოვსკის გარდაცვალების 25-ე წლისთავს. კლუბებსა და კულტურის სახლებში გაიხსნა პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენები, ეწყობა საუბრები და ლექციები.

ვლადიმერ მაიაკოვსკის ნაწარმოებნი ფართოდ ცნობილია სახალხო პოლონეთში. ბევრი მათგანი პოლონურ ენაზე გამოცემულია ცნობილი პოლონელი პოეტების თარგმანით.

გაზეთები „ტრიბუნა ლიუდუ", „გლოს პრაცი" და სხვები აქვეყნებენ მაიაკოვსკისადმი მიძღვნილ სტატიებს, აგრეთვე მის ნაწარმოებთა ნაწყვეტებს.

რუმინეთი

ბუქარესტი, 14 აპრილი. (საკდესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს ვ. ვ. მაიაკოვსკის გარდაცვალების 25-ე წლისთავს. რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ბუქარესტის სახლში გაიმართა დიდი პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრება. მოხსენება გააკეთა სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა პოეტმა ჩ. ტეოდორესკუმ. პოეტებმა მ. ბენიუკმა, ე. �ულელიანუმ, ვერონიკა პორუმბაკუმ და სხვებმა წაიკითხეს მაიაკოვსკის ნაწარმოებთა თავიანთი თარგმანები.

დღეს ცენტრალური გაზეთები აქვეყნებენ სტატიებს საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტის გარდაცვალების 25-ე წლისთავთან დაკავშირებით.

ვ. ვ. მაიაკოვსკის შემოქმედება ფართოდ აღიარებულია რუმინეთში. მისი ნაწარმოებები გამოცემულია ტირაჟით, რომელიც 260 ათას ცალს აღემატება.

ჯოუ ენ-ლაი რანგუნს ჩავიდა

დელი, 14 აპრილი. (საკდესი). როგორც დელის რადიო გადმოგვცემს რანგუნს ჩავიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციაზე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჯოუ ენ-ლაი. ბირმაში ცოტა ხნის ყოფნის შემდეგ ჯოუ ენ-ლაი ბანდუნგს გაემგზავრება.

ნერუ და ნასერი რანგუნს ჩავიდნენ

ლონდონი, 15 აპრილი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს ხნდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ და ეგვიპტის პრემიერ-მინისტრი ნასერი ჩავიდნენ რანგუნს. ისინი მიემგზავრებიან ბანდუნგში აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციაზე.

ეჯლის განცხადება ვინიპეგის პრეს-კონფერენციაზე

ლონდონი, 14 აპრილი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ეტლიმ ვინიპეგის (კანადა) პრეს-კონფერენციაზე გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ. შეეხო რა ცნობებს, რომ ინგლისი თითქოს მონაწილეობას მიიღებს ტაივანის „დაცვაში" (ესე იგი იმაში, რომ ამერიკის ჯარებმა ტაივანის ოკუპაცია მოახდინონ. — რედ.), ეტლიმ განაცხადა, ეს „ჩვენი წამოწყება არ არის, არც გაერთიანებული ერების წამოწყებაა. ეს წმიდა ამერიკული საშიში წამოწყებაა".

ამასთანავე ეტლიმ განაცხადა, შესაძლებელია ტაივანზე მოეწყოს რაღაც „პლებისციტი" და სასურველია ამ ტერიტორიის „ნეიტრალიზაციაო", თუმცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტაივანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია და არავის არა აქვს უფლება ჩაერიოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამინაო საქმეებში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები ინონებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განცხადებას იმპერიალიზმის აგენტების მხილების შესახებ

ბერლინი, 14 აპრილი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განცხადებას იმპერიალისტ ომის გამჩაღებელთა და მათი აგენტურული ცენტრების დანშაულებრივი მოქმედების შესახებ ფართოდ განიხილავს რესპუბლიკის მოსახლეობა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დემოკრატიულმა პარტიებმა და მასობრივმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს მუშაობა, რათა განუმარტონ მოსახლეობას უცხოეთის აგენტურის საქმიანობის საფრთხე და ის, რომ საჭიროა სიფხიზლის გაძლიერება.

სიფხიზლის საკითხს ეძღვნება ყველა დღევანდელი გაზეთის მოწინავე სტატიები. გაზეთები აღნიშნავენ რესპუბლიკის მშვიდობიანი განვითარების წარმატებას და იმას, რომ საჭირო მშრომელთა მშვიდობიანი მონაპოვარი დაიცვან მტრის ხრიკებისაგან. გაზეთები მოუწოდებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობას გააძლიეროს სიფხიზლე და ამხილოს ჯაშუშების, დივერსანტებისა და იმპერიალიზმის სხვა აგენტების ხრიკები.

რესპუბლიკის საწარმოებსა და დაწესებულებებში ეწყობა მშრომელთა მიტინგები და კრებები, რომელთა მონაწილენი კმაყოფილებას გამოთქვამენ იმპერიალიზმის აგენტების მხილების გამო და კისრულობენ გაძლიერონ სიფხიზლე. ბევრი მუშა ახალ შრომითს ვალდებულებებს კისრულობს.

რეაქციის პარპაში დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 15 აპრილი. (საკდესი). ბონის ხელისუფალნი ისწრაფვიან პოლიციის თვითნებობის დახმარებით ჩაახშონ წინააღმდეგობა დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის მოწინააღმდეგეებისა, რომლებიც მოითხოვენ გერმანიის გაერთიანებას მშვიდობიან, დემოკრატიულ საფუძველზე.

მთავარ დარტყმას მიმართავენ რა გერმანიის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ, რომელიც დასავლეთ გერმანიაში სათავეში უდგას აგრესიული ვერმახტის აღორძინების წინააღმდეგ ბრძოლას, ბონის ხელისუფალნი ამავე დროს შეტევას ეწევიან სხვა დემოკრატიული ორგანიზაციებისა და პროფკავშირების წინააღმდეგ.

ამა წლის თებერვალში მოეწყო თავისუფალი გერმანული ახალგაზრდობის კავშირის 23 აქტივისტის პროცესი. ყველა მათ ბრალად დასდეს ამ ორგანიზაციისადმი კუთვნილების გამო და სხვადასხვა ვადის პატიმრობა მიუსაჯეს.

12 აპრილს კელნის რადიომ გამოაცხადა, რომ ჰესენში დაუპატიმრეს გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების 9 მოღვაწე.

ფეთქმულთა ჯგუფის ლიკვიდაცია უნგრეთში

ბუდაპეშტი, 13 აპრილი. (საკდესი). როგორც უნგრეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ბუდაპეშტის სასამართლომ განიხილა შეთქმულთა ორგანიზაციის 11 მონაწილის საქმე. ორგანიზაციის მეთაური იყო იოზეფ ფიალა — ჰორტისტული პოლიტიკური პოლიციის ყოფილი მაძებარი. ამერიკის აგენტების ხელმძღვანელობით შექმნილი ორგანიზაცია მიზნად ისახავდა კაპიტალისტებისა და მემამულეების ხელისუფლების რესტავრაციას უნგრეთში.

ყველა ბრალდებული გამოტყდა მათ მიერ ჩადენილ დანაშაულში.

ბუდაპეშტის სასამართლომ იოზეფ ფიალას, კალმან ტოტს, იგნაც გალას, ბალაჟ გომინს და მიხაი დუსს მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი — სიკვდილი. განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

დანარჩენ ბრალდებულთ მიესაჯათ 9-დან 14 წლამდე პატიმრობა.

გენუის ნავსადგურის მუშაკთა გაფიცვა

რომი, 14 აპრილი. (საკდესი). გენუის დოკერებმა 48 საათის გაფიცვა მოაწყეს გენუის ნავსადგურის სამრეწველო საწარმოთა მუშაკებისადმი სოლიდარობის ნიშნად, რომელნიც დაახლოებით უკვე სამი თვეა გაფიცული არიან.

დოკერთა გაფიცვამ საკვლევით შეაჩერა ნავსადგურში მდგომი 72 გემის დატვირთვა და დაცლა.

ნავსადგურის ადმინისტრაციამ და გემთმფლობელებმა სცადეს შტრაიკბრეხერთა დაქირავება, რათა დოკერთა გაფიცვა ჩაეფუშათ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

სინხუას სააგენტო ინდოეთის თვითმფრინავის კატასტროფის შესახებ

პეკინი, 14 აპრილი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, რომ ინგლისელმა ხელისუფლებმა ჰონკონგში გუშინ გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც მოჰყავთ იმ მდგომარეობის ზოგიერთი დეტალი, რომელიც წინ უსწრებდა ჰონკონგიდან კომპანია „ეირ ინდია ინტერნეშნლ კორპორეიშნის" თვითმფრინავის გაფრენას, რომელმაც გზაში ინდონეზიისაკენ კატასტროფა განიცადა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩან კაი-შის საიდუმლო აგენტების დივერსიის შედეგად. განცხადებაში დადასტურებულია, რომ ჩინეთის მთავრობამ პეკინში ინგლისის საქმეთა რწმუნებულის მეშვეობით გააკეთა გაფრთხილება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩან კაი-შის აგენტების შეთქმულების შესახებ თვითმფრინავის მოსპობის მიზნით. განცხადებაში უარყოფილი არ არის შესაძლებლობა, რომ ვისმე ჰონკონგში შეეძლო თვითმფრინავში ჩაედო რაიმე ფეთქებადი ნივთიერება. განცხადებაში ნათქვამია, რომ „ჰონკონგის პოლიცია გულდასმით გამოძიებას ეწევა".

იუნაიტედ პრესის სააგენტომ გუშინ ცნობა გამოაქვეყნა, რომ ჰონკონგში დადის ხმები, რომ ინდოეთის თვითმფრინავის კატასტროფა გამოწვეულია დივერსიული აქტით.

მიღებული ცნობების თანახმად, ინდოეთის თვითმფრინავის ნამსხვრევეები ნაპოვნია კუნძულ სიდანაუს ახლოს (ნატუნის კუნძულები) 500 კილომეტრზე სინგაპურის ჩრდილო-აღმოსავლეთით. თვითმფრინავი, რომელზეც იყვნენ აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციაზე მომავალი ჩინეთის დელეგაციის თანამშრომლები და კორესპონდენტები, ზღვაში ჩავარდა 1 კილომეტრზე ამ კუნძულის ნაპირიდან. ზოგიერთი ნივთი იპოვნეს ნამსხვრევებთან. კუნძულ სიდანაუს მეთევზეებმა განაცხადეს, რომ თვითმფრინავი აფეთქდა და ცეცხლი მოედო ჰაერში, სანამ ზღვაში ჩავარდებოდა.

ჯაკარტის აეროპორტში განაცხადეს, რომ 11 აპრილს 16 საათსა და 20 წუთზე ადგილობრივი დროით, ესე იგი კატასტროფამდე ათი წუთით ადრე, თვითმფრინავმა ცნობა გამოგზავნა, რომ პირობები ნორმალურია. მაშინ თვითმფრინავი საათნახევრის ფრენის მანძილზე იმყოფებოდა ჯაკარტიდან. ათი წუთის შემდეგ თვითმფრინავმა გამოგზავნა სამი სიგნალი უბედურების შესახებ და შემდეგ გაჩუმდა.

ინგლისის სინგაპურის საზღვაო შტაბში განაცხადეს, რომ თვითმფრინავის ეკიპაჟის სამი წევრი ცოცხალი გადარჩა და ინგლისის ფრეგატმა „დემპიერმა" აიყვანა პატარა კუნძულზე. ეს პირები არიან მეორე პილოტი დიქსიტი, შტურმანი პატაკი და ინჟინერი კარნიკი. არსებული ცნობებით, გრძელდება გადარჩენილთა ძებნა.

ირანის პრემიერ-მინისტრ ზაჰედის გადადგომის გამო

ნიუ-იორკი, 14 აპრილი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ბეირუთის ინფორმირებულ წრეებში განაცხადეს, რომ ირანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ფაზლოლა ზაჰედი გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან ომასთან დაკავშირებით, რომ იგი ილაშქრებდა პაკისტან-თურქეთის პაქტთან ირანის განზრახული შეერთების წინააღმდეგ. ზაჰედი ამტკიცებდა, რომ ირანი ამ პაქტს ვერ შეუერთდება სამხედრო და პოლიტიკური მიზეზებით. ამ წრეებში დამაჯერებლად არ მიაჩნიათ ვერსია, რომ ზაჰედი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადადგა.

როგორც იუწყებიან, ზაჰედიმ უარი თქვა დაუყოვნებლივ მიმხრობოდა პაკისტან-თურქეთის პაქტს და მოითხოვა მომავალ წლამდე გადაედოთ ყოველგვარი ნაბიჯი ამ მიმართულებით. მაგრამ, როგორც ამ წრეებში აღნიშნავენ, ირანის შაჰი დაჟინებით მოითხოვდა დაუყოვნებლივ გადაწყვეტას და ამიტომ მიიღო ზაჰედის გადადგომა.

ამერიკელი მიმომხილველი დულესის განცხადებათა შესახებ

ნიუ-იორკი, 14 აპრილი. (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" მიმომხილველი ლიპმანი წერს, რომ დულესის უკანასკნელი განცხადებანი და სიტყვები როდი მოწმობენ სიმშვიდესა და სიდინჯეს, რომლებიც საჭიროა სახელმწიფო მოღვაწისათვის. „დულესი, — აღნიშნავს მიმომხილველი, — ლაპარაკობს როგორც ისეთი კაცი, რომელიც შეშფოთებულია, იმიტომ რომ თავისი თავის იმედი არა აქვს".

ლიპმანი დულესის გამოსვლების აგრესიულ და ამასთან აბნეულ კილოს ხსნის შეერთებული შტატების „ძნელი მდგომარეობით" ტაივანისა და ზოგიერთ სხვა საკითხში.

„წინათგრძნობა და დაბნეულობა (დულესისა. რედ.), რაც ზოგჯერ განწირულობის გრძნობას მოგვაგონებს, — აღნიშნავს ლიპმანი, — იმით აიხსნება, რომ იგი მიხვდა, თუ რაოდენ სუსტია აზიური ლერწმის ღეროები, რომლებსაც ჩვენ ვეყრდნობით" (ლიპმანს, როგორც ჩანს, მხედველობაში ჰყავს ჩანკაიშელები და ლისინმანელები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების მარionეტები არიან). ნამდვილად მართალია თუ არა, რომ დულესის აგრესიული სიტყვები „ფორმოზის სრუტეში კონფლიქტის" შესახებ, — განაგრძობს იგი, — „ჩვენს მხარეზე აყენებს სხვა სახელმწიფოებს?" ლიპმანი ამას უარყოფით უპასუხებს.

ლიპმანს მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ გამოიწვევენ აზიის ხალხთა მტრულ დამოკიდებულებას თავისდამი, თუ ამერიკა ამ ხალხებს ჩაბამს საომარ მზადებაში, რასაც საერთო არა აქვს რა მათს ინტერესებთან.

კანტონის სასამართლომ განაჩენი გამოუტანა ჩანკაიშელ ჯაშუშებს

პეკინი, 14 აპრილი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს მიერ კანტონიდან გამოგზავნილ ცნობაში ნათქვამია, რომ ქალაქის სახალხო სასამართლომ განაჩენი გამოუტანა 26 ჩანკაიშელ აგენტს, რომლებმაც ქალაქში შემოაღწიეს და აპირებდნენ დივერსიები მოეწყოთ ჩინეთის ეროვნული დღესასწაულის დღეს — 1954 წლის 1 ოქტომბერს. 9 აგენტს, რომლებიც ჩანკაიშელთა ჯაშუშურმა ორგანიზაციებმა შემოგზავნეს, სიკვდილი მიესაჯა: ერთი აგენტი შეწყალებულია იმიტომ, რომ ნებაყოფლობით დანებდა ხელისუფალთ. დანარჩენებს მიესაჯათ პატიმრობა სხვადასხვა ვადით.

დაპატიმრების დროს აგენტებს უპოვნეს ფეთქებადი ნივთიერებანი, აგრეთვე ჰონკონგში ჩანკაიშელთა ჯაშუშური ორგანიზაციების წერილები. ისინი გამოტყდნენ, რომ ფეთქებადი ნივთიერებანი მიიღეს ამერიკის ჯაშუშური ორგანიზაციებისაგან, რომლებიც აგრეთვე ასწავლიდნენ მათ დივერსიების მეთოდებს.

მშვიდობისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა

საქართველოს კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში გაიხსნა მშვიდობისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა.

გამოფენის პირველ განყოფილებაში წარმოდგენილია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინისა და იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის შრომები, მათ შორის ვ. ი. ლენინის „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობა 1917 წლის 25-26 ოქტომბერს (7-8 ნოემბერს)", „მოხსენება საგარეო პოლიტიკის შესახებ სრულიად რუსეთის ცაკისა და მოსკოვის საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე 1918 წ. 14 მაისს", „წერილი ამერიკელ მუშებს", ი. ბ. სტალინის საანგარიშო მოხსენება მე-18 პარტყრილობაზე საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, „საუბარი „პრავდის" კორესპონდენტთან", „სიტყვა პარტიის XIX ყრილობაზე" და სხვ.

მეორე განყოფილება „საბჭოთა კავშირი შვიდობისათვის ბრძოლაში" თვალსაჩინოდ ასახავს, თუ როგორ იცავდა და იცავს საბჭოთა სახელმწიფო თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე შვიდობის საქმეს.

ლიტერატურის გამოფენის გარდა, ბიბლიოთეკის საცნობო ბიბლიოგრაფიულმა განყოფილებამ ამ საკითხთან დაკავშირებით შეადგინა კარტოთეკები და სარეკომენდაციო სიები და სისტემატურად იძლევა ზეპირ და წერილობით ცნობებს.

ვლადიმერ მაიაკოვსკისადმი მიძღვნილი საღამო

14 აპრილს საქართველოს მწერლების კავშირის კლუბში გაიმართა ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის გარდაცვალების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა ირ. აბაშიძემ.

ვ. მაიაკოვსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ბ. ეკენტმა. მოგონებით გამოვიდა პოეტი ს. ჩიქოვანი.

მაიაკოვსკის ლექსების ქართული თარგმანები წაიკითხეს პოეტებმა ვ. გორგაძემ, ხ. ბერულავამ, გ. ხუხაშვილმა, ვ. ლაფერაშვილმა და ა. სულაკაურმა.

ვ. მაიაკოვსკისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა: ი. ნონეშვილმა, ს. ეულმა, კ. ბობოხიძემ, ნ. კილასონიამ, ნ. გურგენიძემ და სხვებმა.

დასასრულ ნაჩვენები იქნა დოკუმენტალური კინოსურათი ვლადიმერ მაიაკოვსკის შესახებ.

კონკურსი საუკეთესო საესტრადო ნაწარმოებზე

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ 1954 წლის 21 ოქტომბერს გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო საესტრადო ნაწარმოებზე. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 156 კაცმა, რომლებმაც წარმოადგინეს 164 ნაწარმოები.

ეიურომ, რომელშიც შედიოდნენ ამხანაგები ვ. კუპრავა (თავმჯდომარე), ა. ბელაშვილი, მ. მრევლიშვილი, გ. კოკელაძე, ე. ქარელიშვილი, პ. კოსტაჩიძე, ო. ალექსიშვილი, გ. ნუცუბიძე და კ. კინწურაშვილი (მდივანი), განიხილა წარმოდგენილი ნაწარმოებები. პირველი და მეორე პრემია ეიურომ არცერთ ავტორს არ მიანიჭა.

სკეტჩების ჟანრში მესამე პრემია მიენიჭა მიხ. გოგიაშვილს ნაწარმოებებისათვის — „რომანტიკა" და „ტიპიური მოვლენა", ხოლო მინიატიურების ჟანრში — ნიკ. არეშიძეს ნაწარმოებისათვის „წყეული". შესაძენად რეკომენდებულ იქნა შოთა როყვას (სოხუმი) ფელეტონი „ხვალ შემოდით ხუთ საათზე", ეიურომ რეკომენდაცია მისცა საქართველოს ფილარმონიას მიიზიდოს სამუშაოდ კონკურსის მონაწილე ავტორები: გრიგოლ ვაშაკიძე (სოხუმი), ნოდარ დუმბაძე (თბილისი) და ოთარ სადრაძე (თბილისი).

მ. შიშოვი — საქართველოს ჩემპიონი ჭადრაკში

ბელგრადში (ბულგარეთი) ეროვნულ ოლიმპიადაზე ჭადრაკში ოსტატ მ. შიშოვისა და ოსტატობის კანდიდატ ბ. გურგენიძის საქადრაკო მატჩის უკანასკნელი მე-6 პარტია საქართველოს პირველობაზე.

ამ პარტიამდე მატჩის ანგარიში იყო 3:2 მ. შიშოვის სასარგებლოდ. მატჩის მოგებისათვის შიშოვს სჭირდებოდა მხოლოდ ნახევარი ქულა. ბ. გურგენიძისათვის კი მოგება აუცილებელი იყო.

მოწინააღმდეგეებმა გაითამაშეს სიცილიური პარტია. ბ. გურგენიძემ, რომელიც შავებით თამაშობდა, დებიუტში პასიური პოზიცია მიიღო. შემდეგ იგი არასწორ შეწირვაზე წავიდა და 32-ე სვლაზე თავი დამარცხებულად ცნო.

ამრიგად, ოსტატმა მ. შიშოვმა მოიგო მატჩი ანგარიშით 4:2 და ჰადრაკში საქართველოს 1955 წლის ჩემპიონი გახდა.

ახალი ტურისტული მარშრუტები

ორიოდე კვირა, და დაიწყება ათასობით ტურისტ-ექსკურსანტთა მოგზაურობა ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში.

საქართველოს ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოს რესპუბლიკაში აქვს 17 ტურისტული, 1 საექსკურსიო ბაზა და 11 ფილიალი, რომლებსაც ერთდროულად შეუძლიათ მიიღონ და მოისახურება გაუწიონ 2.500-მდე კაცს. ეს ბაზები განლაგებულია გაგრაში, სოხუმში, გოაში, ქუთაისში, ჯაზეგში, შოვში, ბაკურიანში და სხვ.

სამმართველოს მიერ შემუშავებული ტურისტული მარშრუტებიდან ყველაზე საინტერესოა მარშრუტი სამხრეთ საქართველოზე გავლით, ლაშქრობა იწყება ბაკურიანში, სადაც ტურისტები დაჰყოფენ ექვს დღეს და გაეცნობიან ბორჯომის ხეობას. შემდეგ მანქანით გადავლენ ვარძიაში, ძველი გამოქვაბული ქალაქის დასათვალიერებლად, თბილისის ციხე-სიმაგრისა და სხვა ღირსშესანიშნაობათა გასაცნობად, აქედან გაივლიან ზეკარის გადასასვლელს, გზაში დათვალიერებენ ახასთუმნის ობსერვატორიას და ფეხით წავლენ კუროორტ საირმეშდე, ჩავლენ მაიაკოვსკში, სადაც ნახავენ კ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმს. ქუთაისში გაეცნობიან ქალაქის მშენებლობებს, შემდეგ მატარებლით გაემგზავრებიან მწვანე კონცხზე. ამ მარშრუტის მონაწილენი მიიღებენ „სსრ კავშირის ტურისტის" ნიშანს.

საინტერესოა ამიერკავკასიის მარშრუტი: ბაქო — ერევანი — თბილისი — გორი — ქუთაისი — მწვანე კონცხი, აგრეთვე ოსეთის სამხედრო გზა: ორჯონიკიძე — ზარომაგი — შოვი — ქუთაისი — ბათუმი — მწვანე კონცხი.

რესპუბლიკის ტურისტულმა ბაზებმა მომსახურება უნდა გაუწიონ 50.000 ტურისტსა და ექსკურსანტს.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 17 და 18 აპრილს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვლადადი მოღრუბლულობა; სანაპირო რაიონებში ხანმოკლე წვიმა, შიდა რაიონებში უმეტესად უნალექოდ. აღმოსავლეთის ქარი 3-7 მეტრი წამში. რაიონის ხეობაში 12-18 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 7-12, დღისით 17-22 გრადუსი სითბოს; მთიან რაიონებში ღამით 3-8, დღისით 10-15 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში — აღმოსავლეთ რაიონებში მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით მცირე ნალექი; დასავლეთ რაიონებში ცვლადადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ. აღმოსავლეთის ქარი 3-7 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 5-10, დღისით 11-16 გრადუსი სითბოს; მთიან რაიონებში ღამით 1-6, დღისით 5-10 გრადუსი სითბო.

რედაქტორი ნ. ჯაფარიძე.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — დაისი, რუსთაველის სახელობის — პირველი ნაბიჯი, მარჯანიშვილის სახელობის—ცოცხალი პორტრეტი, გრიბოედოვის სახელობის — პროკურორის ქალიშვილი, სომხური დრამის — კამო, მუსიკალური კომედიის — ჩვენი ნაცნობები, მოზარდ მაყურებელთა ქართული — უკანასკნელი ორიანი (აბონემენტი № 28, 10 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — ზოლუშკა (1 ს.), ბედნიერ ეუჩაზე (7 ს.), თოჯინების ქართული — ნინა ტყეში (11 ს.), ჩექმებიანი კატა (4 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — მიედინება მღვრიე წყლები, ამირანი, სპარტაკი, თბილისი, გორკის სახელობის კლუბი — ხუთნი ბარსკის ჭეჩიდან, კომკავშირელი, ოფიცერთა სახლი — ჯაშუშების ქსელი, კოლხიდა, ისანი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — მთის სიმღერები, 26 კომისარის სახელობის — წარმოდგენა შედგება, კოლმეურნე — ზღვის მონადირე, კიროვის სახელობის პარკი — ახალი მხატვრული ფილმი, კომუნარების ბაღი — ქალი კამელიებით.

თბილისის „დინამოს" სტადიონი

18 აპრილს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობაზე

„ბ" კლასი

ქ. ვორონეჟის გუნდი — თბილისი (ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდი)

დასაწყისი 6 საათზე.

ბილეთების გაყიდვა წარმოებს 18 აპრილს დილის 10 საათიდან „დინამოს" სტადიონის სალაროებში.

თბილისის სახელმწიფო სირკი

დღეს და ყოველდღე

ქალწასანთა ატრაქციონი

მსოფლიოს რეკორდსმენის

გრიგოლ ნოვაკის

გასტროლები

და დიდი საცირკო წარმოდგენა

3 განყოფილებად.

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირას, 17 აპრილს

დღის ორი საბავშვო წარმოდგენა

დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს.

ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში, რუსთაველის პროსპ. № 1 და № 24, ჩელუსკინელების ქ. № 31.

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.

დისერტაციების დაცვა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(უნივერსიტეტის ქ. № 1)

1955 წ. 27 აპრილს, დღის 1 საათზე № 107 აუდიტორიაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ჰოლა ალექსანდრეს-ძე თევზაძე

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „რთული ზმნები ქართულში V-X საუკუნეთა ძეგლების მიხედვით".

1955 წ. 27 აპრილს დღის 1 საათზე № 93 აუდიტორიაში ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

გრიგოლ ნიკოლოზის-ძე ჯოლოხავა

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „არსებისა და მოვლენის კატეგორიები კ. მარქსის „კაპიტალის" მიხედვით".

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს შემდეგ კათედრებზე:

1. მემცენარეობისა და ბოტანიკის კათედრა — კათედრის გამგე პროფესორი ან დოცენტი — 1 განაკვეთი, დოცენტი — 2 განაკვეთი.
2. ქირურგიის კათედრა — კათედრის გამგე პროფესორი ან დოცენტი — 1 განაკვეთი, დოცენტი — 2 განაკვეთი.
3. პათოლოგია-თერაპიის და კლინიკური დიაგნოსტიკის კათედრა — კათედრის გამგე პროფესორი ან დოცენტი — 1 განაკვეთი, დოცენტი 4 განაკვეთი.
4. სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა — კათედრის გამგე პროფესორი ან დოცენტი — 0,5 განაკვეთი, დოცენტი — 3 განაკვეთი.
5. მერძევეობისა და ვეტსანექსპერტიზის კათედრა — კათედრის გამგე პროფესორი ან დოცენტი — 1 განაკვეთი, დოცენტი — 1,5 განაკვეთი, ასისტენტი 1 განაკვეთი.
6. მსხვილფეხა რქიანი მესაქონლეობისა და მოკვლეულობის კათედრა — კათედრის გამგე პროფესორი ან დოცენტი — 1 განაკვეთი, დოცენტი 3 განაკვეთი, ასისტენტი— 2 განაკვეთი.
7. მეცხოველეობის მეურნეობათა მექანიზაციის და ელექტროფიკაციის კათედრა— კათედრის გამგე პროფესორი — 1 განაკვეთი, ასისტენტი — 1,5 განაკვეთი.
8. ვეტპოლიკლინიკა-ორდინატორი ვეტექიმის კვალიფიკაციით — 6 განაკვეთი, რენტგენოლოგი ვეტექიმის კვალიფიკაციით — 1 განაკვეთი.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა წარმოდგენილ იქნას შემდეგი საბუთები: განცხადება ინსტიტუტის დირექტორის სახელზე, ავტობიოგრაფია, კადრების აღრიცხვის ბარადი ფურცელი, ნოტარიუსის მიერ შემოწმებული ასლები უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების, სამეცნიერო ხარისხის, სამეცნიერო წოდების და ბრძანებულებათა, სამეც